# სახალხო გაზეთი

№ 1112 კვირა, 9 თებერვალი 1914 წ. № 1112

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


## ამ ნომერში ექვსი გვერდია.


მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

### სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით**

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 ივლისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ოქტომბრისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, (შესავალი ეზოდან.) 2) ქ. შ. წ.-კ. გ. საზ-ბის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.


დედა იუსტინა ბესარიონის ასული, მეუღლე ეფროსინე ნიკოლოზის ასული, ძმები დეკანოზი ნიკიტა, პოლიკარპე და სტეფანე მალაქიას ძენი თალაქვაძენი მადლობას ვსწირავთ ქალაქ ოზურგეთის საზოგადოებას, ასკანის საზოგადოებას, ნათესავებს, ნაცნობთ, მეგობართ, სხვა და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა კავშირებს, საზოგადოებებს, სათვისტომოებს და კერძო პირთ, რომელთაც გზაზე შემოგვებებით, პირადად დასწრებით, დეპეშებით თუ წერილებით გაიზიარეს ჩვენი ღრმა მწუხარება იურიევის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტ-მედიკის

### კასიანე მალაქიას ძე თალაქვაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 86

დიდად დამწუხრებულნი ეკატერინე ზაქარიას ასული, გიორგი მიხეილის ძე, ანნა მალაქიას ასული მამაცაშვილები, ბარბარე მიხეილის ასული და დიმიტრი ივანეს ძე ლოლაძენი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, პირველი—შვილისას, მეორე—ძმისას, მესამე—მაზლისას, მეოთხე—ძმისას და მეხუთე—მოყვრის მეორე კომერციულ სასწავლებლის მოწაფის

### იოსებ მიხეილის ძის მამაცაშვილის

წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 9 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, დილის 10 საათიდან. ძეგლის კურთხევა იმავე ეკლესიის ეზოში. 87


საგლოვიარო კინოთ

### რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულ მა

სამკერვალო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი შეკერილი ტანისამოსი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებული. ძლიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კინოთ


ელისაბედ ანტონის ასული ბაქრაძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის—დედამთილის და მეორეთა—დიდედის, გარდაცვალებულის

### ეკატერინე სვიმონის ასული ბაქრაძისა

დანიშნულია ქვაშვეთის ტაძარში, დღეს, 9 თებერვალს. პანაშვიდი შუადღის 12 საათზე. 88


### ქართული თეატრი

ორშაბათს, 10 თებერვალს,

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება

ჰმართავს

სალიტერატურო - სამუსიკო - სასიმღერო

### საღამოს

შემდეგის პროგრამით:

I) **ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ!**

კომედია 2 მოქ. რაფ. ერისთავისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი: ელ. ჩერქეზიშვილი, ა. შოთაძე და ბ-ნნი: ვას. აბაშიძე, მ. ხონელი, ა. შანშიაშვილი.

რეჟისორი ვას. აბაშიძე.

II) სალიტერატურო-სამუსიკო-სასიმღერო განყოფილება

ა. აღამიძის, ვ. ლორთქიფანიძის, სოფრ. მგალობლიშვილის, ი. მჭედლიშვილის, ი. სალირაშვილის, ს. ფაშალიშვილის, ლ. ჯანდიერის, გ. ქუჩიშვილის და ქართულ ტრიოს სხვათა მონაწილეობით.

III) პოეტების შეჯიბრება.

წაკითხულ იქნება საპრემიოდ წარმოდგენილი 17 ლექსი. ორ მოწონებულ ლექსის ავტორს მიეცემა პრემიები: 1) „ვეფხვის ტყაოსანი“ (ზიჩისაგან დასურათებული გამოცემა) და 2) ილია ჭავჭავაძის თხზულებანი (მიხ. გედევანიშვილის ახალი გამოცემა). ლექსებს განიხილავს და პრემიებს გაანაწილებს სპეციალური ჟიური, შემდეგ პირთაგან შემდგარი: იოს. გედევანიშვილი, ივ. გომართელი, ს. გორგაძე, იპ. ვართაგავა, ილ. ზურაბიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, გ. რცხილაძე და გრ. ყიფშიძე.

საპრემიო ლექსებს წაიკითხავენ: ქ-ნი ნ. დავითაშვილი და ბ-ნნი ვ. ბარველი, ა. იმედაშვილი, კ. ფრანგიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი. ✦ ადგილების ფასები დაკლებულია.

ბილეთები იყიდება. დასაწყ. საღ. 8 ს. 1054

### დღეიდან ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

**წამლობა „914“.** 1023

### ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიძის ქუჩა, ხაკურ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 60 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულ. ბანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებ. ბანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ვენერიულ., სნეულებ. და კანის. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ., ყურის და ცხვირ. | **ათანასოვი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1466

### ქართული თეატრი

ი. ზარდალიშვილის ავადმყოფობის გამო, მ. ზუნიას საბენეფისო პიესა „დონ-კარლოსი“ გადაიდო სხვა დროსთვის მის მაგიერ კვირას, 9 თებერვალს, 1914 წ. ქართ. დრამატიული საზოგადოების დასის მიერ მეათედ წარმოდგენილი იქნება:

### სინათლე,

ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. 7 სურათად ი. გედევანიშვილისა

„დონ-კარლოსის“ ბილეთები გამოდგება სხვა დროსთვის, რომელიც იქნება ცალკე გამოცხადებული. ✦ მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

ამხ. ქართ. დრ. საზ. გამგ. 1617

### გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. ბ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1604


### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ

ს. პ. ზუბალაშვილის სახელობის საავადმყოფოს

საბავშვო განყოფილებაში მიიღება ავადმყოფი ბავშვები 13 წლამდე ყოველგვარი ავადმყოფობით გადამდებიანის გარდა. გადამდებიანი ავადმყოფნი მიიღებიან საავადმყოფოს ბარაკების განყოფილებაში). **ღარიბთა ბავშვები მიიღებიან უფასოდ**, შეძლებულთ კი გადახდებიათ ფასი საერთო წესის მიხედვით, ე. ი. საერთო პალატაში 18 მანეთი, ორსაწოლიანში თითოს 75 მან. და ცალკე პალატაში 120 მ. თვეში. 27


### ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლა

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6).

მოწაფეთა მიღება; ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერა (solo) თეორიისა, ჰარმონიისა, ენციკლოპედიისა, სოლფეჯიოსი (ნოტების კითხვა) და ხოროს კლასსებში **დაიწყო 2 იანვრიდან**, დილის 11 ს.-დან 2 ს.-დე და საღამოს 5—7 საათამდე, (კვირა-უქმის გარდა) სკოლის კანტორაში.

სწავლის ფასი 65 და 75 მან. წელიწადში გადახდებათ, ნახევარი წლობით წინდაწინ, სპეციალური თეორია მუსიკისა 15 მან. წელიწადში.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.** 1004

### ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

მებაღე შეგირდების მიღება.

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: **ტფილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.**

Тифлисъ питомники С. С. Хетагури. 1577


### ცნობა

უმართებულესი სენატის განკარგულებათა და განმარტებათა კრებული 1913 წ. 9 ნოემბრისა № 253 განყ. მე-2. დამტკიცებულია სარკინიგზო შრომის არტელის **„ვარიაგის“** წესდება, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით, რუსეთის სარკინიგზო საზოგადო კანონთა დებულების მე-77 მუხლის შენიშვნის ძალით, ტომი 12.

მიიღებიან არტელის წევრებად არა მარტო ტფილისისა და ბაქოს, არამედ ყველა დანარჩენ სადგურებზედაც ამიერ-კავკასიის რკინის გზისა. ფიზიკურად ჯანღი პირნი, არა უმცროს 21 წლისა და არა უხნიერეს 45 წლისა. არტელის წევრთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ცნობების მისაღებად უნდა მიმართოთ არტელის გამგეობას, რომელიც იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე სახლი № 2, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე.

1038 გამგეობა.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი

კვირას, 9 თებერ., სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ სლობოდას პიესა

გოგოლა, | 2) მათრკო,

კომ. სატირა 3 მ. თარგ ალ. იმედაშვილისა. | მესამე მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნი ციმაკურიძე. ბ-ნნი: ათონელი, არშაკუნი, ანაშვილი, გოცირიძე, ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, მინდიაშვილი, სამადაშვილი, სტურუა, რომანიშვილი, რატიშვილი, ქუმბურელი, ქიათურელი, ჯაბაური, ვ. ნინიძე. ✦ ადგილ. ფასი 5—50 კ. დასაწ. საღ. 8 ს.

ბილეთ. კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 ს. საღ. 6—8 ს.

შემდეგი წარმ. 14 თებერვალს ბენეფისი ნიკო გოცირიძისა.

რეჟის. ალ. წუწუნავა. რეჟ. თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

1006 ქართ. სახ. წარ. წრის ადმინისტ.

ქარ. შ. წ.-კ. გ-მ. საზ. წიგ. მაღაზიაში ისყიდება

„მთის არწივი შამილი“,

(ისტორიული ამბავი).

ალექსანდრე ფრონელისა.

ფასი 25 კაპ.

ვინც ხუთს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20 პროცენტი. 1051

გადამდებ სენთან საბრძოლველად

ქალაქის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია

სთხოვოს მცხოვრებთ, კერძო ეტლებით ნუ წაიყვანენ ავადმყოფების (სახადიანს, ქუნთრუშიანს, ხუნაგიანს, წითელიანს და სხვა) საავადმყოფოებში, ან სახლიდან სახლში, არამედ ყოველ ამისთანა შემთხვევაში

ისარგებლონ (უფასოდ)

ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან მყოფი

სასანიტარო კარეტით

კარეტის დაბარება შეიძლება ტელეფონით № 172. 1055

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

იყიდება ტყე

ტფილისიდან 50 ვერსის მანძილზე, კახეთის რკინის გზის ლიანდაგიდან 8—10 ვერსის მანძილზე, ზომით 50 ოთხკუთხი დესეტინა, წიფელი და რცხილა. ცოტა ნაწილი მუხიანია. ეს ტყე დაცული იყო 60 წელიწადი. საშეშე და საბოძკე მასალა. უკეთესი ტყე არ არის კახეთის მხარეზე.

მსურველთ შეუძლიანთ ნახვა ქიათურაში გრიგოლ დიმიტრის ძე სანიკიძე. გაყიდვა შეიძლება მიწიანად ან ტყის მოჭრით გასაჩეხად გძელის ვადით. 90

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

აბულაძე. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბულახოვი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ვოიკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

ზამბში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ასიტოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდნევი. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კოლომიიცევი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქ-ლ. ოსიპოვიჩი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეხტერი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

[illegible]—[illegible] ხუთშ., შაბ. და კვ. 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ხათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, პიასოხი, ანალიზი, ძიებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ბერლინის უნივერსიტეტის [illegible]

ა. ა. მაჩაბლიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 151

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 30.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიბეგი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიბეგი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11-12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან, ოპერ. ცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეზხაპუნება „914“, „606“. 1040

ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისათვის. გუნდის მიწვევა კონცერტებზე, ეკლესიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პირობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან, კვირაობით 3-5 ს.-დე და ოთხშაბ. 6-8 ს. ბეჟანის ქ. № 29. ვიღებ და ვასწავლი მუშა ხალხსაც. 1027

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ვენერიულ და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს, მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ძ. ბორში

(დოკტორანტი)

ექიმი გ. დ. ჭინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022


# ტფილისი, 9 თებერვალი

**ირლანდიის ავტონომია.** ირლანდიის ავტონომიას დიდი და ფრიად საინტერესო ისტორია აქვს. დიდიხანია ირლანდია იბრძვის ავტონომიისთვის; ეს ბრძოლა ხან რევოლუციონურ სახეს იღებდა, ხან საპარლამენტო ბრძოლის ხასიათს. დადგა დრო, როდესაც ირლანდიის ავტონომია ინგლისის ლიბერალურ პარტიისა და მთავრობის პროგრამულ მოთხოვნილებად იქცა. მიუხედავად ამისა, დღემდის შეუძლებელი გახდა ირლანდიის ავტონომიის განხორციელება. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ინგლისის ზედა პალატა, ლორდთა პალატა, წინააღმდეგი იყო და დღესაც წინააღმდეგია ირლანდიის ავტონომიისა. მთელი პროგრესიული, ლიბერალური ინგლისი ერთხმად მოითხოვდა ირლანდიის ავტონომიას, ლიბერალური მთავრობაც მისი მომხრე იყო, მაგრამ ეს სურვილები ლორდთა პალატის სიჯიუტეს ეხეთქებოდა და იმსხვრევოდა. იგი სარგებლობდა თავის „ვეტო“-ს უფლებით და სასარგებლო კანონ-პროექტს ასამარებდა. ლიბერალურმა მთავრობამ მაშინ ლორდთა პალატის თვით ამ „ვეტო“-ს უფლებას მიაქცია ყურადღება და დიდის ბრძოლის შემდეგ კიდეც გაიმარჯვა. ამ რიგად ირლანდიის ავტონომიის უსაშინელესი მტერი აილაგმა. ბოლო დროს დაიბადა ახალი დაბრკოლება. ეგრედ წოდებული ულსტერის ნაციონალისტები წინააღმდეგნი გახდნენ ირლანდიის ავტონომიისა; ირლანდიელებს უნდათ ავტონომია, მაგრამ ჩვენ არ გვინდაო. რევოლუციის მოხდენით ემუქრებოდნენ მთავრობას, მილიციაც კი შეადგინეს და თავიანთი ჯარის პარადი მოახდინეს, მაგრამ ინგლისში ულსტერის ნაციონალისტების ამ ბაქი-ბუქს არავინ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს. ინგლისის მთავრობამ თავისი ერთი წარმომადგენლის პირით საჯაროდ განაცხადა, სანამ ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი კანონად არა ქცეულა, ჩვენ არავის არ დავუშლით თავის აზრის გამოთქმას, მაგრამ, როდესაც იგი, ხალხის წარმომადგენლების სურვილის თანახმად, კანონად იქცევა, მაშინ კი ვაჩვენებთ მათ, როგორც უნდა კანონის პატივისცემაო. ასე რომ, ულსტერის ნაციონალისტების მუქარა, რევოლუციას მოვახდენთო, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს ირლანდიის ავტონომიისთვის. ერთადერთი საფრთხე ლორდთა პალატა იყო და მათი უფლებაც შეიზღუდა.

ლორდთა პალატის უფლების შეზღუდვა გამოიხატა იმაში, რომ ქვედა პალატის მიერ ორჯერ მიღებული კანონ-პროექტი და ორჯერვე უარჰყოფილი ლორდთა პალატის მიერ თუ ქვედა პალატამ მესამედაც მიიღო, მაშინ იგი უსათუოდ კანონად უნდა იქცეს, მიუხედავად ლორდთა პალატის „ვეტო“-ს უფლებისა. ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი სწორედ ამნაირ მდგომარეობაშია. ამ სესიაში სრულდება კანონიერი ორი წელიწადი. თუ ქვედა პალატამ ირლანდიის კანონ-პროექტი მესამედაც მიიღო, იგი კანონად იქცევა და ირლანდიასაც ეღირსება ის, რასაც ამდენი ხნია ელის და რასაც შეალიეს თავისი ძალ-ღონე ისეთმა პირებმა, როგორიც იყვნენ გლადსტონი და პარნელი. ადვილად წარმოსადგენია, რომ ირლანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგენი ყოველ ღონეს იღონებენ შეამცირონ რიცხვი ირლანდიის ავტონომიის მომხრეებისა, მაგრამ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ ცდას არავითარი ნაყოფი არ მოჰყვება, რადგანაც ინგლისის მთელი პროგრესიული ნაწილი ძველებურად მტკიცედ იცავს ირლანდიის ავტონომიას.

ასე რომ, მოსალოდნელია ირლანდიამ მალე დიდი ხნის სანატრელი ავტონომია მიიღოს.

## ქართული პრესა

ჩვენი თანამშრომელი ბ-ნი არ. ჯ—შვილი არკვევდა, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ქართული ბურჟუაზიის განვითარებას. საბოლოო დასკვნა ისეთი იყო, რომ ამ ბოლო ხანებში ეგრედ-წოდებულ ზომიერებში დაწყებული მოძრაობა იმის მომასწავებელია, რომ ქართული ბურჟუაზია იზრდება და, მაშასადამე, ჰხდება სომხის ბურჟუაზიის ანტაგონისტად. ამის გამო თავის მოსაზრებებს გამოსთქვამს „სიმართლის ხმა“ და, სხვათა შორის, სწერს:

„აქ ავტორი უკვე შორს აღარ არის იმ დებულებებისაგან, რომელიც 1912 წელს არჩილ ჯორჯაძემ წამოაყენა „ცნობის ფურცელში“ და რომლის მიხედვით ქართველ მუშას დროებით მაინც უნდა დაეთმო თავისი „კერძო კლასიური ინტერესი“ ეროვნული ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ“.

ვითომ და რატომაო? კაპიტალიზმის განვითარების საჭიროებას ხომ თვით მარქსისტებიც აღიარებენ; განა ეს იმასა ნიშნავს, რომ მუშებმა თავიანთი „კერძო კლასიური ინტერესები“ დაივიწყონ? ვეკვობთ, დასელებმა ისეთი გამბედაობა გამოიჩინონ, რომ ეს სთქვან. ჩვენ ეროვნული სიმდიდრის გაზრდის საჭიროება გვალაპარაკებს. ამ თვალსაზრისით კი მუშამ კიდეც რომ დაივიწყოს თავისი კერძო კლასიური ინტერესი, ერის სიმდიდრე არაფერს მოიგებს, რადგანაც ჯამი იმ სიმდიდრისა, რომელსაც შეიძენს კაპიტალისტი ამნაირის მსხვერპლის წყალობით გაცილებით უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ჯამი იმ სიმდიდრისა, რომელსაც წარმოადგენს ეკონომიურად უზრუნველყოფილი მუშა. ასე რომ „კერძო კლასიური ინტერესების დავიწყება“ საზარალოა ყოველის მხრით, როგორც მუშათა კლასიური ინტერესების თვალსაზრისით, ისე ერის საერთო გამდიდრების თვალსაზრისით. ასეთი მსხვერპლი, გარდა იმისა, რომ კლასიური ბრძოლის თვალსაზრისით, ფსიხოლოგიურად შეუძლებელია, საზარალოც არის. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს სულ ერთი იყოს საქართველოში რომელი ერის ბურჟუაზია იქნება გამეფებული.

„მაშ რა საშუალებით ჰსურს ბ. არ. ჯ—შვილს გაამაგროს და აალორძინოს ქართველი ბურჟუაზია?“—

გვეკითხება „სიმართლის ხმა“. ბურჟუაზიის ალორძინება ჩვენი მიზანი და საქმე არ არის. ბურჟუაზიამ თავისი განვითარების საქმე თითონ უნდა მოაწყოს, და ასეც ჰხდება. დღევანდელ პირობებში ქართული ბურჟუაზიის ზრდა შედეგია არა მფარველობითი სისტემისა, რადგანაც **კერძოდ** ქართულ ბურჟუაზიას არავინ არავითარ მფარველობას არ უწევს,—ამ მხრით რუსეთის ყველა ერის ბურჟუაზია **ერთნაირ** პირობებშია ჩაყენებული, — არამედ ეს ზრდა შედეგი იქნება საზოგადოდ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ზრდა-განვითარებისა. ნელნელა ჩნდებოდა წვრილი ქართული ბურჟუაზია და ადვილად შესაძლებელია მისმა შეკავშირებულმა ძალამ, მართლაც, კონკურენცია გაუწიოს სომხის ბურჟუაზიას. ეს არც „კერძო კლასიური“ ინტერესების დავიწყებასა ნიშნავს და არც მფარველობითი სისტემის შემოღებას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსული გაზეთები განაგრძობენ წერილების ბეჭდვას სამინისტროში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. ახალი პრემიერის მოწვევაზე არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბარკის დანიშვნას ფინანსთა მინისტრად. გაზეთი „რეჩი“ სწერს:

„ბარკის დანიშვნას მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. როგორც დაბეჯითებით ამბობენ, ფინანსთა მინისტრის სამივე ამხანაგი სტოვებს თავის ადგილს. სამსახურიდან გადიან აგრეთვე სახელმწიფო კრედიტო კანცელარიის დირექტორი და სახელმწიფო ბანკის მართველი. ეს მეტად იშვიათი შემთხვევაა... დამტკიცება აღარ უნდა იმას, რომ ყველა ამხანაგის და გავლენიანი-დირექტორების გასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროში. შეიცვლება საფინანსო პოლიტიკა თუ არა—ეს სადავოა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, აქ სადავო არსებითად არა არის რა. არავის სჯერა, რომ შესაძლებელი იყოს რაიმე თვალსაჩინო ცვლილება, ვინაიდგან ყველა დარწმუნებულია, რომ ცვლილების მოხდენა შეუძლებელია, თუ არ მოხდა ძირითადი რეფორმები. ჩვენი დროკი ფართო (ფინანსიური) რეფორმების დრო არ არის. ამ რიგად საფინანსო პოლიტიკა ძველი დარჩება. მაგრამ თუ საქმიანობას მივიღებთ მხედველობაში, ახლობელი ხელმძღვანელების სამსახურიდან გასვლა მეტად შეაფერხებს ფინანსთა სამინისტროს მუშაობას“.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„ახალი მინისტრის მდგომარეობა მეტად გართულებულია. ერთის მხრით იგი უნდა შეეცადოს, პირველ ხანებში მაინც, ახალი პროგრამის განხორციელებას. ეს მოითხოვს ბევრს ძალასა და შრომას. მეორეს მხრით ნაციონალისტები არ მოასვენებენ და ეცდებიან თავს მოახვიონ თავისი პოლიტიკა—კრედიტის ნაციონალიზაციის შესახებ. ძნელი იქნება ახალი მინისტრისათვის გაუძლოს ნაციონალისტების იერიშს“.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს ბარკის საფინანსო ნიჭსა და პრაქტიკულს გამოცდილებას, მაგრამ საკმარისია თუ არა ყოველივე ეს სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის გასაძღოლადო—ეს სულ სხვა საკითხია, ამბობს: და თუ საკმარისი არ არის, რუსეთის ფინანსებს უეჭველი ხიფათი მოელისო.

სამწუხაროდ, დღეს რუსეთის მართველ წრებში არავინ ფიქრობს, თუ რა განსაცდელს განუმზადებს მათი მოღვაწეობა საერთოდ მთელ სახელმწიფოს ცხოვრებას.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ როგორც სოხუმიდან გვატყობინებენ, **მგოსანი ეგნატე ნინოშვილი** მორჩენის გზაზეა დამდგარი. 19 იანვარს ექიმთა საგანგებო თათბირს (კონსილიუმს) გაუსინჯია და შეუმოწმებია ავადმყოფი. კონსილიუმში მონაწილეობა მიუღიათ ბ-ნთ: მახვილაძეს, გრიგოლიას, ჩიკვარიძეს და მეეროვიჩს. კონსილიუმს დაუდგენია: რადგანაც გამომრთელების საქმე თავისთავად კარგად მიდის, ამიტომ შეიძლება თვითონ ორგანიზმი მოერიოს ავადმყოფობას და განზრახული „პნევმატორაქსი“ (ე. ი. აზოტის ჩაშვება ფილტვებში) ჯერ-ჯერობით გადადევათ, ხოლო, თუ ავადმყოფს ნიშნები გამოაჩნდება, რომ სნეულობა მატულობს, ამ საშუალებას მაშინ მივმართოთო. დიდი მადლობის ღირსნი არიან ზემოხსენებული ექიმები, რომელნიც სრულიად უსასყიდლოდ ეწევიან შრომას და გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ჩვენს ავადმყოფ მგოსანს.

✦ **ბ-ნი ქებურია** დღეს გაემგზავრა ბათომში, სადაც ფრენას გამართავს. ბ-ნ ქებურიას განზრახვა აქვს ბათომიდან ტფილისში გადმოფრინდეს. გზად ქუთაისში მიფრინდება.

✦ **ქალაქის სასაკლაო.** 1913 წლის განმავლობაში ტფილისის სასაკლაოზე დაკლულა: მსხვილფეხა საქონელი—62.034 სული, ხოლო წვრილ-ფეხა—270.594.

სასაკლაოზე მორეკილ საქონლიდან ბეითლებს აუკრძალავთ დაკვლა 100 სულის ძროხისა, 68 ხარისა, 24 მოზვერ-დეკეულისა, 2 კამეჩისა და 2 ცხვრისა და 1 ხბოსი ავადმყოფობის გამო; 43 ძროხისა, 96 ხარისა, 6 მოზვერ-დეკეულისა, 24 ხარკამეჩისა და 1 ფურკამეჩისა სიგამხდრისა გამო.

სასაკლაოდან ქალაქის სალაროს შემოსავალი ჰქონია ამ წელს 86.174 მ. და 86 კ., საკლავ საქონელზე არსებულ ღასაზღვევ გადასახადის 21.639 მ. და 12 კ., გაუცია დასაზღვევ თანხიდან პრემიად ბეითალთამიერ გადაყრილ უვარგის ხორცზე 23.953 მ. და 3 კ.

ბეითლებს უცვნიათ უვარგისად და დაუწვამთ 4103 ფუთი [illegible] ქა ძროხისა და კამეჩის ხორცი, 38 და 7 გირვ.—ხბოსი, 24 ფუთი და 7 გირვანქა ცხვრისა, 2917 ფუთი და 20 გირვ.—ღორისა, ბეითლებს აღმოუჩენიათ ჭლექი 399 სულს საქონელზე (312 მსხვილ-ფეხაზე, 9 კამეჩზე, 69 ღორზე და 9 ცხვარზე); ტრიხინა—51 ღორზე, გვარი (ფინნა)—6953 სულს მსხვილ-ფეხზე, 269 ხბოზე და 1994 სულს ღორზე.

✦ **ქალაქის სასაკლაოს** მეხუთე ბეითლად დაინიშნა დებრიუხსი. ბეითალ-ბაკტერიოლოგის ადგილი ჯერ თავისუფალია.

✦ თებერვლის ბოლო რიცხვებში მოსკოვიდან ტფილისში ჩამოვა ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ თანამშრომელი, ს. იაბლონოვსკი, რომელსაც განზრახვა აქვს ორი ლექცია წაიკითხოს: პირველი „ცხოვრებიდან მიმავალნი“ (თავისკვლის საკითხზე), ხოლო მეორე—„უმობელთა უფლება“ (შვილოსნობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე).—პირველი ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი თავისკვლის საკითხზე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს დამსწრე საზოგადოება.

✦ ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების **ნავთლუღის ბიბლიოთეკის** გამგედ გუბერნატორმა დაამტკიცა სოფიო დიმიტრის ასული ფორაქიშვილისა.

✦ **მასწავლებელთა კლუბის** დაარსება საბოლოოდ გადაწყვეტილია ვაჟთა მეორე გიმნაზიასთან.

✦ **პოლიტექნიკუმისთვის** აღთქმულ საქალაქო მიწების გაყიდვისაგან, როგორც ქალაქის საგანგებო კომისიამ გამოიანგარიშა, 800,000 მანეთამდე დარჩება. მთელი საპოლიტეხნიკუმო მიწა, რომელიც უნდა გაიყიდოს, ამავ კომისიამ 933 სამოსახლო ადგილად დაჰყო.

✦ **ლექცია.** 23 თებერვალს, კვირას, დილით 12 საათზე ქართულ თეატრში წაიკითხავს ლექციას ქ-ნი ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე შემდეგ თემაზე: „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“ ბილეთები იყიდება „ნაკადულის“ რედაქციაში და ექ. გაბაშვილთან. ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია.

### სასწავლებლებში

✦ **ბაკურიანის სამინისტრო სკოლაში** ამ ჟამად სულ 44 მოსწავლე ყოფილა, სხვა და სხვა ეროვნებისა, რომლის უმრავლესობასაც რუსობა შეადგენს. სკოლაში სულ ცხრა ქართველი მოსწავლე ყოფილა, რის გამოც სკოლაში ქართულს არ ასწავლიან. ამის და მიუხედავად სკოლის მასწავლებელს ბაგრატ ბეთანელს უკისრია ქართულის ენის სწავლებაც უსასყიდლოდ, რასაც კვირაში ორს გაკვეთილს ანდომებს ჩვეულებრივ გაკვეთილების გათავების შემდეგ. მასწავლებელმა ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, დაუთმოს სკოლას უფასოდ ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“-ს პირველი და მეორე ნაწილი და ქართულის წერის რვეულები. შუამდგომლობა საზოგადოების სექციამ განიხილა, სიამოვნებით მიეგება მასწავლებლის კეთილ განზრახვას და დაადგინა: დაუთმოს სკოლას უფასოდ საჭირო სახელმძღვანელო წიგნები.

### ქუთაისი

✦ 1912 წლ. განმავლობაში სახალხო უნივერსიტეტს მოუწყვია 39 ლექცია. ლექციების კითხვაში მონაწილეობა მიუღია 31 ლექტორს. სულ ლექციებს დასწრებია 7,241 მსმენელი. თითო კითხვას საშუალოთ 362 მსმენელი ესწრებოდა.

✦ დღეს თეატრ „რადიუმში“ გაიმართება ლექციების კითხვა. ი. ეკალაძე წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „მოკლე მიმოხილვა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა“ ხოლო დ. უზნაძე —სოფისტები და მათი მოძღვრება (სოკრატი და მისი დრო)“.

### დონის-როსტოვი.

✦ ამ დღეებში დამცველ განყოფილების განკარგულებით გაჩხრიკეს და **დააპატიმრეს** ქართველი პოლიტიკური გადმოსახლებულნი ექიმი პარმენ ქიქინაძე, ს. დევდარიანი და ერაძე. როსტოვის საპატიმროში იმყოფება გადმოსახლებული ნაფიცი ვექილი ნიკო ელიავა, რომელსაც სამინისტრომ მიუსაჯა სამი წლით ნარიმის მხარეში გადასახლება.

✦ 15 თებერვალს განზრახული იყო **ქართული საღამოს** გამართვა. სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო საღამოს გამართვა სხვა დროისთვის გადაიდო.

### სომხეთა ცხოვრება

✦ **ახალი ეპარქიები.** ამ ჟამად სომხეთა კათალიკოსს მოლაპარაკება აქვს გამართული მეფის მოადგილესთან, რათა რუსეთში დაწესდეს ახალი სომხური ეპარქიები.

✦ **სასკოლო ფონდი.** ამ ფონდის დღემდის მიუღია ეჩმიაძინის სინოდს 100 ათასი მანეთი.

# დღიური

**დედამიწა მაინც ბრუნავს.**

„დედა-მიწა მაინც ბრუნავს!“ ეს უკვდავი სიტყვები უფრო გვახსოვს შესანიშნავი მეცნიერის და ადამიანის გალილეო გალილეის ცხოვრებიდან, ვიდრე მისი მრავალი მეცნიერული გამოკვლევა და განსაკუთრებით მისი დიდებული თხზულება დედა-მიწისა და სხვა ცდომილის ტრიალის შესახებ.

ინკვიზიციის მრისხანე სასამართლომ საქვეყნოდ დაჰგმო და დაჰსწვა პოლონელ სწავლულის ბერის (უკვე გარდაცვლილის) წიგნი, რომელიც ამბობდა: უფრო შესაძლებელია დედა-მიწა ბრუნავდეს მზის გარშემო და არა მზე დედა-მიწის გარშემო. ღრმა მეცნიერი და დაკვირვებული გალილეი 52 წლის იყო მაშინ და მთელი მისი დაუღალავი მეცადინეობა და ცოდნა იმას ამტკიცებდა, რომ მართალია კოპერნიკი, და დასაგმობია არა მისი შეხედულება, არამედ ეკლესიისა და სამღვდელოების აზრი. გალილეისათვის უტყუარი იყო: მსოფლიოს ცენტრში დედამიწა კი არაა მოთავსებული და მის გარშემო მზე, მთვარე და ვარსკვლავები კი არ ტრიალებენ, არამედ ცენტრია მზე, დედამიწა თავის ღერძზე ტრიალებს და სხვა ცდომილებთან ერთად გარს უვლის მზეს. იგი შეეცადა პირადის ნაცნობობით და გავლენიანის მეგობრების დახმარებით, რომ პაპს გაეუქმებია 1616 წლის სამარცხვინო დადგენილება კოპერკინის აზრის შესახებ და, როდესაც ყოველივე ცდა ამაო გახდა, გაბედულად მხნედ შეუდგა თავის სახელგანთქმულის წიგნის დაწერას. თექვსმეტ წელიწადს ემზადებოდა და აგროვებდა მასალებს კოპერნიკისა და საკუთარის შეხედულობის დასასაბუთებლად, ათასნაირი შევიწროვება და გაჭირვება განიცადა, ყველაფერი წინ ეღობებოდა; მის წინ იდგა საშინელი სურათი ჯორდანო-ბრუნოსი, რომელიც ცეცხლზე დასწვა ინკვიზიციამ თავისუფალი აზრებისათვის; მისთვის მეტად ნათელი იყო რომის სამსჯავროს შეურიგებლობა და ფანატიკოსობა, —მაგრამ როდესაც დაამზადა ყველაფერი, მოურიდებლად გამოაქვეყნა, გარკვევით და დასაბუთებით აღიარა ის, რაც მორიდებით და მკრთალად გამოსთქვა კოპერნიკმა ოცი წლის წინად მის დაბადებამდე.

მთელი სამღვდელოება შეინძრა, ამოძრავდა ბნელეთის სამეფო, აღსდგნენ ბრმა რწმენის ადამიანები და მორთეს ყვირილი: ეკლესია იღუპება, ღმერთს უარჰყოფენ, უარყოფენ იმას, რასაც გვასწავლის წმიდა ეკლესიაო. ინკვიზიცია შეიარაღდა მრისხანებით და საშინელებით. მოუწოდეს მოხუცს მეცნიერს თავის სამსჯავროს წინაშე: დიდხანს აწვალეს, ბევრჯელ ჩამოართვეს ჩვენება, გააგრძელეს განზრახ მისი გასამართლება, დაემუქრენ წამებას და დაწვას და იძულებით მუხლები მოადრეკიეს. აუწერელია ქალარა გალილეის სულიერი განცდანი: მისი დაუძლურებული სხეული ელტვის ანთებულს კოცონს, დღემოლეული სიცოცხლე გაორკეცებით ტკბილია მისთვის; მაგრამ სული იტანჯვის დამცირებისათვის, ღრმად ჰგრძნობს თავის სიმართლეს, ძალმომრეობით შელახულს... ხანგრძლივი სულიერი ბრძოლის შემდეგ სუსტი მოხუცი, ცრემლმორეული დაეცემა ძირს და სიმწარით აცხადებს: ვემორჩილები ეკლესიას, მისი ინკვიზიციის წინაშე ქედს ვიხრი, შევცდიო...

ინკვიზიცია დაკმაყოფილდა. მისთვის საკმაოა გარეგნული მორჩილება. მაგრამ როგორც კი გათავდა გასამართლება, სამსჯავრომ თავისი განაჩენი გამოიტანა და როგორც კი შენდობილი და პატიებული გალილეი ზეადგა, მისი მშვენიერი სული კვლავ აღფრთოვანდა, კვლავ შეიმოსა უკვდავება და წამოიძახა: „დედა-მიწა მაინც ბრუნავსო“! მუდამ სახსოვარი სიტყვები! ვიდრე არსებობს კაცობრიობა, არასოდეს არ დაივიწყებს ამ სიტყვებს. იგი მარად მოგვაგონებს ჭეშმარიტებისა და სიმართლის მიერ გავლილ გზას, გაგვამხნევებს, გზას გვაგვიკაფავს და შეგვიმსუბუქებს იმ ძნელ ტვირთს, რომელიც აუცილებელი ხვედრია ყოველის მებრძოლისა. ადამიანი ადამიანია და წამებული, ტანჯული სული შესაძლებელია შეირყეს, დაეცეს, ეცრუოს თავის რწმენას, მაგრამ ეს ღალატი დროებითი, წარმავალი იქნება, იგი კვლავ აღსდგება და მედგრად, მტკიცედ განაგრძობს თავის წმინდა საქმეს. „დედა-მიწა მაინც ბრუნავს“! რაც უნდა სატანჯველი მოგვაყენონ, რაც უნდა შეგვავიწროვონ, რაც უნდი გვდევნონ, გვჩაგრონ, სული შეგვიხუთონ,—ჩვენი სული არასოდეს არ განუდგება თავის სატრფიალო მიზანს და პირიქით ნაწლობი, ცეცხლით განწმენდილი, განსაცდელით გამოწვრთილი კიდევ უფრო მეტის ხალისით და მონდომებით შეუდგება ერთხელ არჩეულის გზას.

ამას გვასწავლის დიდებული ადამიანის და სწავლულის გალილეის ცხოვრება. მაგრამ გვასწავლის იმასაც, თუ რა საშინელია ფანატიკოსობა—სულ ერთია, იქნება იგი ფანატიკოსობა სარწმუნოებისა, თუ მეცნიერების ან პოლიტიკურის დოგმის. ასეთს ფანატიკოსობას მუდამ თან ახლავს აზრთა სივიწროვე, ცრუმორწმუნოება, მიუკარებლობა, კარჩაკეტილობა და უგნური სიძულვილი და უპატივცემლობა სხვისი შეხედულობისა და პიროვნებისადმი. ისტორიაში ბევრი მაგალითია საშინელი დევნისა არა მარტო სარწმუნოებრივის, არამედ გონებრივისაც. ხშირად აღუმართავთ კოცონები გონების სადიდებლად და რაიმე განყენებულის აზრის სასახელოდ. საკუთარი აზრის პატივისცემა და სიყვარული არავის არ ავალებს, საწამებელი ცეცხლი განუმზადოს მოწინააღმდეგეს. საჭირო არაა კერპები, რა მოსაზრებითაც უნდა იყოს აგებული. სატევარი ორ-პირია და თუ ჩვენი უპატივცემულობა სხვისკენაა მიმართული, ამგვარადვე შეუძლიათ სხვებსაც აღჭურვონ სიძულვილით ჩვენდამი, ჩვენი პიროვნებისადმი.

გალილეი აწამეს ეკლესიის ფანატიკოსებმა და თუ მისი ტანჯვის მოგონება ნაღველით აგვივსებს გულს, უნდა ვერიდხეთ, ვსდევნოთ და ვაწამოთ ვინმე, უპატივცემლობით მოვეპყრათ ვისმე პიროვნებას მხოლოდ იმიტომ, რომ სხვანაირად ფიქრობს, სხვანაირად აზროვნობს...

**სიტყვა.**

# ხმა

გ ჩენის დღეს მოწყვეტილი, სულ ერთთავად მივქრი, მივქრი...
მივქრი ისე თავგანწირვით, ვით სიშმაგის მწვავე ფიქრი.
გადვიარე შვების ველი, სიდუხჭირის უცნობობა,
უკან დამრჩა უცოდველი სინორჩე და ნაზი გრძნობა...
მივქრი, მაგრამ ჩემსა ქროლვას სად ექნება დასასრული?
ან რა მელის მომავალში? დიდება, თუ სიყვარული?—
—კუბო და მთლად დადუმება!
ხმა საზარი მეუბნება.

—

მივქრი ისევ, მივქრი ისევ, თავი ვეღარ შევიკავე;
ვამბობ: ნეტა კვლავ სადამდე უნდა ვქროდე ფიქრებ-მწვავე?
ან როდისღა დავისვენებ ლტოლვისაგან დაქანცული?
ან როდისღა არ ვიკვნესებ ცხოვრებაში დატანჯული?
ან სად მელის დამშვიდება გახელებულს სიმწარეში:
ყვავილთ ველზე, თუ სატრფოსთან, თუ კვლავ შორსა, სხვა მხარეში?—
ხმა კი მშვიდად მიპასუხებს:
—სამარეში! სამარეში!

**ი. მჭედლიშვილი.**

# მიქელ ანჯელო

მიქელ-ანჯელო იტალიის რენესანსის ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. დაახლოვებით მეთხუთმეტე საუკუნეში დაიწყო განახლების, აღორძინების ხანი და მეთექვსმეტე საუკუნეში უმაღლეს განვითარების წერტილს მიაღწია. ჩვეულებრივად აღორძინების ხანს ახასიათებენ როგორც ძველი, კლასიკური კულტურის აღდგენას. მართლაც, საშუალო საუკუნოების სქოლასტიკის შემდეგ, იტალიაში, აღორძინების ხანის სამშობლოში, კვლავ იფეთქა სიყვარულმა კლასიკურ კულტურისადმი და მოისურვა გარღვევა საშუალო საუკუნოების სქოლასტიკისა და მშრალი ფორმალიზმის მიერ შექმნილი კედლებისა. ამ ახალმა მოძრაობამ თავი იჩინა ხელოვნების ყველა დარგში: მხატვრობაში, ქანდაკებაში, ხუროთ-მოძღვრებაში, მწერლობაში. მაგრამ აღორძინების ხანა მხოლოდ კლასიკური კულტურით გატაცებით არ განისაზღვრება. მრავალ-ფეროვანება ბუნებისა მთელი თავისი სილამაზით გადაიშალა ადამიანის გონების თვალ-წინ და ახალ-ახალი ჰორიზონტები გადაუშალა. ბუნებამ გაიტაცა ადამიანის გონება, ბუნებამ ფრთები შეასხა ადამიანის განთავისუფლებულ ფანტაზიასა. კლასიკური კულტურა ამ ახლად გაღვიძებულ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საშუალებად იქცა.

იტალიის რენესანსის ცენტრი ფლორენცია იყო. აქ მედიჩი მფარველობდა მხატვრებსა და პოეტებს, რომელთა შორისაც იყვნენ ისეთი პირნი, როგორიც არიან: პეტრარკა, ბოკაჩიო ლეონარდო და ვინჩი, მიქელ-ანჯელო და სხვანი. მთელი რიგი გამოჩენილ მხატვრებისა, მოქანდაკეებისა და ხუროთმოძღვრებისა მუშაობდა ამ დროს და კიდეც შეჰქმნეს ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ბადალს იშვიათად თუ შეჰხვდება ადამიანი.

ერთი ამ პირთაგანი იყო მიქელ-ანჯელოც. მიქელ-ანჯელო დაიბადა 1475 წელს 6 მარტს ტოსკანიის ერთ პატარა ქალაქ კაპრეზეში. ბავშვობაშივე გადასახლდა ფლორენციაში და იქ დაიწყო სწავლა ხატვისა. მაგრამ მაშინვე გამოაჩნდა მეტი ნიჭი და სიყვარული მოქანდაკისა. 1494 წელს ფლორენციაში მოძრაობა დაიბადა. ამ მოძრაობამ, რომელსაც შედეგად მედიჩის განდევნა მოჰყვა, შეაშინა მიქელ-ანჯელო და იძულებულ-ჰყო ბოლონიაში გადასახლებულიყო. ერთი წლის შემდეგ ისევ დაბრუნდა ფლორენციაში, 1496 წელს კი რომში წავიდა. იმედი ჰქონდა, იქ უფრო მეტს სამუშაოს ვიშოვნი და საშუალება მომეცემა ჩემი ნიჭი გამოვიჩინოო. მართლაც ასე მოჰხდა. რომში ყოფნის დროს მან გააკეთა ქანდაკება **ვაკხისა** და Pietà, ქანდაკება, რომლის სიუჟეტიც საღმთო წერილიდანაა ამოღებული. ამ ნაწარმოებში, რომელიც რომის წმ. პეტრეს ტაძარში იმყოფება, გამოქანდაკებულია იესო ქრისტე და მარიამი.

1501 წელს მიქელ-ანჯელო ისევ ფლორენციაში წავიდა. აქ მას საშუალება მიეცა შეექმნა მშვენიერი ქანდაკება **დავითისა**, რომელსაც თანამედროვენი გიგანტს ეძახდნენ. ამ ქანდაკებაზე მიქელ-ანჯელო სამი წელიწადი მუშაობდა დ ისეთი მშვენიერი გამოდგა, რომ პირდაპირ აჯადოვებდა მაყურებელს თავისი სილამაზით. თვითოეული ნაკვთი ადამიანის სხეულისა ისეთის ხელოვნებით იყო ჩამოქანდაკებული, თითქოს სცოცხლობსო. თავდაპირველად განზრახვა ჰქონდათ ეს ქანდაკება ტაძარში დაედგათ, მაგრამ, გაკეთების შემდეგ, იგი მოედანზე დასდგეს, რათა ფართო მასასაც შესძლებოდა დამტკბარიყო ამ შესანიშნავი ხელოვნური ნაწარმოების ხილვით. ამჟამად დავითი ფლორენციის სამხატვრო აკადემიაში ინახება.

1505 წელს მიქელ-ანჯელო პაპმა იული მე-II რომში გაიწვია—თავისი ძეგლი უნდა გაეკეთებინა. ეს ძეგლი შესანიშნავი და არა ჩვეულებრივი რამ უნდა ყოფილიყო გეგმით; მაგრამ ამ ხანებში მიქელ-ანჯელოს საქმეები ცუდად წავიდა, ასე რომ ფართოდ დასახული გეგმის ასრულება სავსებით ვერ მოახერხა. ამ ძეგლზე მიქელ-ანჯელოს ეკუთვნის მხოლოდ ერთი, მაგრამ ფრიად შესანიშნავი ქანდაკება—**მოსე** (იხ. დღევ. სურ. დამ.).

მიქელ-ანჯელოს აქვს სხვა ქანდაკებანიც, მაგალითად, ქანდაკება **მონისა**, რომელიც იმავ იული II-ის ძეგლისთვის დაამზადა და რომელიც ამ ჟამად ლუვრში (პარიზი) იმყოფება.

მიქელ-ანჯელო იყო აგრეთვე ხუროთ-მოძღვარიც. მისის ხელმძღვანელობით აშენდა **გუმბათი** წმ. პეტრეს ტაძრისა, რომლის აშენებასაც შეალია თავისი შემოქმედებითი ნიჭი ხუროთ-მოძღვართა მთელმა ჯგუფმა.

მის მხატვრულ და სხვა ნაწარმოებიდან აღვნიშნავთ შემდეგს: **უკანასკნელი სამსჯავრო** (რომი), **შეცოდება და გაძევება სამოთხიდან**, **საშინელი სამსჯავრო** (რომი), **დილა და საღამო** (ფლორენცია, ლორენცო მედიჩის საფლავი), **ღამე**, ფიგურა ჯულიანო მედიჩის საფლავზე (ფლორენცია) და სხვა.

მიქელ-ანჯელოს ყველა ნაწარმოებში ნათლად გამოსჭვივის პოეტური აღმაფრენა, ძალა ნების ყოფისა და ნიჭი ბუნების პოეტურად განცდისა. თვალი გადაავლეთ, თუნდაც, დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ მის ქანდაკებას—მოსეს. დააცქერდით, რა გასაოცარის ხელოვნებითაა გამოქანდაკებული ძარღვიანი ხელი წინასწარმეტყველისა, რამდენი ბიბლიური ელემენტია ჩაქსოვილი მის მძლე ცხვირსა და მრისხანედ შეკუმშულ ტუჩებში! მხოლოდ უნიჭიერეს მოქანდაკეს შეეძლო შეექმნა ასეთი იშვიათი გამომეტყველების სახე. ამაზე უკეთესი თუ არა, უარესი აღარ არის მისი მეორე ნაწარმოები დავითიც.

კლასიკურმა კულტურამ წარმოშვა გამოჩენილი მოქანდაკე ფიდიუსი; აღორძინების ხანამ, ხანმა კლასიკური კულტურის გატაცებისა დაჰბადა თავისი ფიდიუსი—მიქელ-ანჯელო. გაივლის ხანი, წინ წავა კაცობრიობა, ბევრს მშვენიერს პოეტურსა და მხატვრულ ნაწარმოებს შეჰქმნის იგი, მაგრამ თვალ-წარმტაცი ნაყოფი მიქელ-ანჯელოს შემოქმედებითი ნიჭისა მაინც მომაჯადოვებელ მოვლენად იდგება განცვიფრებული ადამიანის გონების წინ.

# გალილეო გალილეი.

ხუთს ამ თვეს შესრულდა 350 წელიწადი, რაც დაიბადა ერთი უდიდეს ადამიანთაგანი გალილეო გალილეი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ეკუთვნის იმ დროს, როცა ძველი ელინური კულტურა და ფილოსოფია აღორძინდა, ევროპაში დაიბადა ახალი თავისუფალი მეცნიერული აზრი, რომელსაც სასტიკის ბრძოლითა და წყევა-კრულვით შეკვდა გაბატონებული ცრუ მორწმუნოება და მისი ხელმძღვანელი რომის სასულიერო მთავრობა.

მომავალი მნათობი კაცობრიობისა და სახელოვანი მეცნიერი დაიბადა 1564 წელს ქალ. პიზაში. მამა მისი იყო ღარიბი მუსიკოსი და საკმაოდ განათლებული კაცი. პირვანდელი განათლება ახალგაზრდა გა-

# გლეხთა განთავისუფლება საქართველოში. *)

2.

იმუნიტეტი, ბატონ-ყმობის ფიქსაცია. რაღას წარმოიდგენს ხიზანი? დასკვნა.

კომენდაციაში მყოფი ადამიანი ყოველთვის ერთგვარ პირობებში არ იმყოფება. მართალია, კომენდაცია, როგორც უძლურისათვის აუცილებელი რამ ჰგულისხმობს აგრეთვე მებატონის არა თუ სამამულო უფლების ქვეშ ყოფნას, არამედ მებატონის სამართალ-ადმინისტრაციის მიღებასაც, მაგრამ ხშირი იყო ისეთი მდგომარეობა, როდესაც კომენდაცია მართლა რომ სანატრელი რამ იყო. ჩვეულებრივად იგი უძლურ გლეხისათვის წყალობას წარმოადგენდა, როგორც ამასა ხსნის პავლოვ-სილვანსკისთან ერთად ალექსანდრე ხახანაშვილიც.[1]) რა თქმა უნდა, საწყალობელ ადამიანის მდგომარეობა მკვიდრ ნიადაგზე არასოდეს არ არის დაყენებული და ხიზნობაც—საწყალობელ ინსტიტუტის ატრიბუტი—რამდენადაც სახელმწიფოებრივი უფლება ეცემა და იგი უფლება გადადის მემამულეთა ხელში—იმდენადვე თან და თან ჰკარგავს თავის ნათელ სახესაც. და მართლაც, იმუნიტეტის განვითარება ერთიანად უნდა იქმნას ახსნილი ცენტრალურ მთავრობის დაუძლურებით. „პატრონატის სრულს განვითარებას—ამბობს ამ პრობლემის გამომკვლევი პავლოვ-სილვანსკი—იმუნიტეტი იძლევა. როდესაც მეროვინგების დროს მდიდარი მემამულენი საბოლოოდ ხდებიან თავიანთ სამფლობელოს ხელწიფენი, როცა სამართლისა, გადასახადების შეკრების და საომარ სამზადისის უფლება გადადის მემამულეთა ხელში, მაშინ მემამულე-პატრონი თავის მამულზედ დაბინავებულ თავისუფალ თუ მონა კაცებზე ხდება ერთად ერთი მთავარი, მოსამართლე და მფარველი“.[2]) იმუნიტეტი ერთიანად მოასწავებს ფეოდალურ მებატონეთა გაძლიერებას. „იმუნიტეტის არსება—ამბობს იაკოვენკო—კარგად გაარკვია Prost-მა, როცა აღნიშნა, რომ საიმუნიტეტო პრივილეგია მდგომარეობს პირველ ყოვლისა იმაში, რომ სახელმწიფო მთავრობის აგენტებს ეკრძალება იმ მამულებში შესვლა, რომელსაც მიღებული აქვს ან მიიღებს საიმუნიტეტო პრივილეგიებს“.[3]) და შემდეგ: „საიმუნიტეტო გრამოტა შესაძლებლად ხდიდა სახელმწიფო მთავრობის გარეშე ცხოვრებას. absque introitu judicum—აი ის სამი სიტყვა, რომელიც ფიუსტელ დე კულანჟეს შენიშვნით, გამოჰხატავს იმუნიტეტის მთელ არსებას“.[4]) საქართველოში იმუნიტეტს დიდი, მეტად დიდი ალაგი ჰქონდა. თუ არა ვსცდები, საქართველოში არსებულ საიმუნიტეტო პრივილეგიების შესახებ საგანგებო სტატიაც ჰქონდა ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს ბ. სვიმონ ავალიანს. ქართული სიგელ-გუჯრები, მიწერ-მოწერაი და სხვა მასალანი აშკარადა ჰყოფენ იმ საიმუნიტეტო უფლებას, რომელსაც მემამულე-მებატონენი იღებენ მეფე-ხელმწიფეთაგან, რომლითაც თავის (მემამულის მიდამოში) დასახლებულ ყოველ ჯურის კაცზე—საპატრონატო კაცზე—ერცელდება მხოლოდ-და საიმუნიტეტო პრივილეგიის მფლობელი ბატონის უფლება. ამგვარად, პატრონატი, რომელიც დაჰბადა ხებაყოფლობითი თუ სხვა სალოიალო ხასიათის კომენდაციის საჭიროებამ—სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებით, საიუხდებურდო თუ უკეთ, სრულს იმუნიტეტის განმტკიცებით თან და თან გადიძალდა, გაფართოვდა, მიიღო ხების ყოფის საწინააღმდეგო ფორმა და ამით შეიქმნა იძულებითი მდგომარეობად, რაიცა მოასწავებს ბატონ-ყმურ განწყობილებას. ხიზნობა ყობად გარდაიქცა ფაქტიურადაც და იურიდიულადაც. „პატრონატის დამოკიდებულება, ან როგორც იხსენიება უფრო ადრინდელ წყაროებში — კომენდაცია — ამბობს პროფ. პავლე ვინოგრადოვი—წარმოიშვა თავისუფალ შეთანხმების ნიადაგზე და ცნობილ პირობების მეოხებით შესაძლო იყო მისი დარღვევაც. მაგრამ საშუალო საუკუნოების ბოლო ხანებში თავის ხებით აღორძინებულ კომენდაციის გვერდით ჩვენ ვხედავთ იძულებითი კომენდაციასაც“.[5]) ფრიად საგულისხმიეროა ეს იძულებითი ხასიათის კომენდაცია, იგი კარგად აშკარავებს პროცესს ადამიანის უფლებების განვითარებისას ბატონ-ყმობის ხანაში. ეს პროცესი, „თავისუფალ“ ხიზნობის, ადამიანის უფლებათა დაჰკარგვისა სრულიად უცნობია ჩვენი მოხელე-მკვლევართათვის, მათ იგი სრულიადაც არა სწამთ.

პატრონობას დაეძებდნენ საშუალო საუკუნოებში მცირე მიწა-ადგილის მფლობი და თავისუფალი ხალხიც. მაგრამ ეს „მფარველობა (პატრონობა—თ. ღ.) ამბობს ვინაგრადოვი—ადვილად ხდებოდა მძიმე ტვირთად: თავდაპირველად იგი მფარველობა შეიძლება დაწყობილიყო კომენდაციით პატრონატის მაძებარ პირის სურვილის გამო, მაგრამ შემდეგ იგი მფარველობა იღებდა ფორმას მუდმივ მორჩილების, რომელიც უკარგავდა გლეხს მემამულის მიწიდგან წასვლის უფლებას და ბოლოს Domesdaj-ის დროს შესაძლო იყო იმ ზომამდე მისულიყო საქმე, რომ ეს—კომენდაციის ქვეშ მყოფი ვილლანების (ყმების) რიცხვში ჩაეთვალათ... და ჩვენ—განაგრძობს პროფესორი—Domesdaj-ს კომისარების ბოროტმოქმედებამ მრავალი ცნობები დაგვიტოვე თავისუფალ კაცების ყმად გახდომისა და კიდევ მეტი შემთხვევების შესახებ არავითარი ცნობები არ დარჩენილა“.[6]) და განა იმუნიტეტი სწორედ ამ მოქმედების საინტერესო ასპარეზს არ წარმოადგენს? იგი იმუნიტეტი თან და თან ფართოვდება, იგი მემამულეს ხელში თან და თან მეტ უფლებას აგდებდა, ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს—ამბობს ბიზანტიის იმუნიტეტის გამომკვლევი პროფ. იაკოვენკო—რომ საიმუნიტეტო გრამატების მქონენი დროს განმავლობაში თან და თან მეტ უფლების პატრონნი შეიქმნენ თავიანთ სამფლობელოში. ბიზანტიაში ამ ბოლო დროის ხრისოულები (გუჯრები—თ. ღ.) ასევე ხსნიან ექსკუსიის (ე. ი. იმუნიტეტის=თ. ღ.) მქონეთა იურისდიქციას“.[7]) საქართველოს სიგელ-გუჯრებიც ანალოგიურ სურათს გვაძლევენ. საიმუნიტეტო პრივილეგიების გავრცელებით გავრცელდა ყველაზე და გაძლიერდა ყოველ დაბალ წოდებაზე პატრონის მრავალმხრივი უფლებანი. ასეთს პირობებში კი—როგორც ვინაგრადოვი ამბობს—შეუძლებელია საპატრონო-საყმო ძალების შორის განსხვავების აღმოჩენა,[8]) და ამას აგრევე ხსნის საქართველოს ბატონობის-ყმობის მკვლევარი პროფ. ალ. ხახანაშვილი. იმუნიტეტის გავრცელების დროს—რომლის საუკეთესო დამამტკიცებელია კანონმდებელ ვახტანგის დებულებანი და შემდეგი დროის სიგელ-გუჯრები, საქართველოში არსებული გლეხთა სხვა და სხვა კატეგორიები თან და თან ილესებიან ერთი მეორეში, მებატონის საიმუნიტეტო პრივილეგიაში ჰქრება ნებაყოფლობითი კომენდაციაში არსებული შთანასახი პიროვნული თავისუფლებისა და ამნაირად ხდება ფიქსაცია სრული ბატონ-ყმობისა. „ალ. ხახანაშვილი ამბობს,—ვწერდით „სახალხო გაზეთი“-ს ფელეტონში,—ჩვენში სხვა და სხვა უფლების და მდგომარეობის ყმები იყვნენ, განსაკუთრებით ალბულას დროში. მაგრამ ვახტანგი ყმებს შორის განსხვავებას შემდეგ აღარ ხედავს. ყველა ყმაზე ერთი და იგივე წარმოდგენა გავრცელდა. ესენი (ყმები) მიდიოდნენ პირდაპირ ერთმანეთისაკენ: ერთი ჰკარგავს მცირე პიროვნულს უფლებას, მეორე იძენს ცოტაოდენ თავისუფლებას, რომ ერთად შედუღებულთ დაჰბადონ ის ბატონ-ყმობა, რომელიც მე XVIII საუკუნეში მეფობდა“. ცხოვრებაზე ნამდვილი შეხედულება თუ გინდათ ეს არის“.[9]) და აგეთი შეხედულება ჩვენი მეცნიერის ჩვენს ცხოვრების შესახებ არის ამავე დროს სხვა ქვეყანათა ამ დროის ცხოვრებაზედ შესანიშნავ მეცნიერებად მიჩნეულ მკვლევართა შეხედულება. ამათი აზრების ზე-გავლენას უეჭველად განიცდიან თვით ამათი მოწინააღმდეგენიც და ამიტომაა, რომ თვით მოხელეს „ნაკვლევშიაც“-კი წააწყდებით დაახლოვებით მზგავსს შეხედულებას. ხიზნობის შესახებ ან-ფარის შეხედულებაზე გაცილებით უფრო საბუთიანი მოსაზრებანი გახლავსთ, მაგალ., მოსაზრებანი ვეიდენბაუმისა და ნიკოლსკისა—თუმცა ჩვენ მათი არც თეორეტიული და არც პრაქტიკული კონცეპციის არა გვწამს რა. „მართლაც—ამბობს მაგალითად სახელმწიფო საბჭოს წევრი სენატორი ნიკოლსკი[10]); როგორც ვხედავთ, მოყვანილ ცნობებიდგან ხიზანთა უმრავლესობა დასახლებულია საბატონო მიწებზე დიდი ხანია

*) იხ. „სახ. გაზ. № 1111.

1) იხ. П.—Сильванскій „феодализмъ...“, Ал. Хаханашвили „Сборн. ст. посв. Ключевскому“ გვ. 825.

2) П. Сильванскій „феодализмъ въ удѣльной Руси“ გვ. 319.

3) იხ. Яковенко „Къ исторіи иммунитета въ Византіи“ გვ. 3.

4) იქვე, გვ. 4.

5) П. Виноградовъ „Средневѣковое помѣстье въ Англіи“ ПС. М. Н. Пр. 1911 г. 5—6—194—195.

6) იქვე, გვ. 7, წიგნი მეცხრე, აგრეთვე კიდევ გ. 16, 17 და სხ.

7) Яковенко „Къ ист. иммунитета въ Византіи“ გვ. 63.

8) იხ. „Помѣстье“ გვ. 17, წიგნი მეცხრე.

9) იხ. ალ. ხახანაშვილი „ბატ.-ყმობა საქართველოში“ გვ. 44. თ. ღლონტი—„ხიზნობის გამო“ სახ. გაზ. № 988.

10) იხ. „О прекращеніи хизанскихъ отношеній въ Тифлисской и Кутаисской губерніяхъ“. სანამესტნიკოს გამოცემა № 683, გვ. 6, 7.

ლილეიმ მიიღო სახლში, ხოლო როცა 19 წლისა შეიქნა, მამამ მიაბარა უნივერსიტეტს მედიცინის შესასწავლად, მაგრამ [illegible] იყო არისტოტელის მოძღვრების და [illegible] მათემატიკის ცნობა. უკანასკნელმა დიდად გაიტაცა გალილეი და გატაცებით დაეწაფა ევკლიდს. შემდეგ გადავიდა არქიმედზე, რომელიც ისე შეუყვარდა, [illegible]. [illegible] მეცნიერი არ კმაყოფილდება სხვის ნაშრომებით და იწყებს საკუთარ დაკვირვებებს და გამოკვლევებს. სამწუხაროდ მამა არ თანაუგრძნობს შვილის გატაცებას და [illegible] ხელს ნუ შეუწყობს მის მუშაობას. მაგრამ გალილეი არ შეშინდება ამას—მას სხვა მასწავლებლები ჰყავდა—ძველი გენიოსები: ევკლიდე, არქიმედი, პლატონი, იპარხი, ერატოსთენი. ბოლოს მამაც დაემორჩილება ურჩს შვილს, მისცემს სრულ თავისუფლებას, როგორც უნდა ისე იმეცადინოს.

გალილეის მამა, როგორც [illegible], ღარიბი იყო და უნივერსიტეტის სწავლის [illegible]. [illegible] გალილეი [illegible] უნივერსიტეტის [illegible] დედამიწა [illegible] 1543 წ. [illegible] ტრიალებს.

უნივერსიტეტიდან გამოსვლის შემდეგ გალილეი [illegible] მეცნიერების მოყვარე და გავლენიანი. მისის დახმარებით გალილეი იშოვნის მასწავლებლის ადგილს ბოლონის უნივერსიტეტში და 1589 წ. აქედან გადავა პიზის უნივერსიტეტში. ხოლო აქ ბედი არ სწყალობს, პროფესორობას თავსანებებს და 1592 წ. დაინიშნება პადუის უნივერსიტეტის პროფესორად. პადუაში ვენეციის მთავრობის დავალებით ბევრს მუშაობს სხვა და სხვა მანქანის გასაკეთებლად და შეადგენს რამდენსამე პრაქტიკულს სახელმძღვანელოს. როგორც პროფესორს, დიდი გავლენა აქვს და მისი აუდიტორია სავსეა მუდამ მსმენელებით. ამ დროს იგი გამოიგონებს ტერმომეტრს, ჰიდროსტატიულს სასწორს და ბოლოს ტელესკოპს. ამას მოჰყვება ცთომილების მეცნიერული შესწავლა. გალილეი ასაბუთებს კეპლერის ჰიპოტეზას, რომ დედამიწა და სხვა ცთომილები მზის გარშემო მოძრაობენ. 1610 წელს გადადის ფლორენციაში, სადაც ასწავლის მთავრის შვილებს. აქ აარსებს თავის აზრების გასავრცელებლად საკუთარს ორგანოს "ვარსკვლავთა მოამბეს", რომელშიაც ათავსებს ცხარე და გატაცებულს წერილებს.

ფლორენციაში პირველად ამხედრდება მის წინააღმდეგ ადგილობრივი სამღვდელოება, რომელიც უწოდებს მას ერეტიკოსის და ულვთოს სახელს. მაგრამ ჯერ უმაღლესი სასულიერო მთავრობა გალილეის კეთილის თვალით უყურებს და იგი უშიშრად განაგრძობს სამეცნიერო გამოკვლევებს. გააკეთებს მიკროსკოპს, გამოსცემს თხზულებებს წყალში მცურავ საგნების შესახებ და სხ.—გალილეის მტრების რიცხვი თან და თან იზრდებოდა და ისინი მხნედ განაგრძობდნენ ქადაგებას მის წინააღმდეგ ეკლესიებსა და აკადემიებში. 1614 წ. ფლორენციის ტაძრის წინამძღვარი წავიდა რომში, მოიპოვა იქ მომხრეები და მოითხოვა, რომ ინკვიზიციის სამსჯავროს გაერჩია კოპერნიკის თხზულება, რომელიც სთესავდა „დაბადების“ საწინააღმდეგო აზრებს. ამით ნელ ნელა მზადდებოდა ნიადაგი გალილეის შესაბორკავად და გასასამართლებლად. ინკვიზიციის სამსჯავრომ დაადგინა, რომ კოპერნიკის აზრი—ვითომც დედამიწა არ იყოს ცენტრი და მის გარშემო არ ტრიალებდეს ყველაფერი, არის შემცდარი და ღვთის საწინააღმდეგო აზრი. ეს დადგენილება აფრთხილებდა გალილეის. მაგრამ იგი არ შეშინდა და მხნედ შეუდგა მასალების შეგროვებას რომის სამსჯავროს გადაწყვეტილების დასარღვევად. მთელს 16 წელიწადს მუშაობდა ამ საქმისათვის. როცა დაამზადა თავისი თხზულება სახელად „საუბრები პტოლომეს და კოპერნიკის ორი დიდი მსოფლიო სისტემის შესახებ“, გაგზავნა რომში ცენზურისათვის, რომელმაც წიგნი სრულიად დაამახინჯა. ხოლო გალილეიმ მაინც გამოსცა თავისი თხზულება ფლორენციაში 1632 წ. პირვანდელის სახით.

წიგნი მალე გავრცელდა და მთელი აურზაური გამოიწვია კათოლიკეთა შორის. რომი ამხედრდა და ყოველმხრივ დაუწყეს მის დამწერს ლანძღვა და შეჩვენება. უმეცრება და ცრუმორწმუნოება აღვირაშვებული აღსდგა მეცნიერული აზრის დასამხობლად. გალილეის წიგნი აკრძალეს და მიუხედავად მისი მეგობრების მრავალის მეცადინობისა, მალე გაიწვიეს ავტორი რომში, სადაც იგი უნდა წამდგარიყო ინკვიზიციის წინაშე.

1633 წლის თებარვალში გალილეი უკვე რომშია. 12 აპრილს დიდებული მოხუცი ინკვიზიციის სამსჯავროშია, რომელმაც პირველი ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ დაატუსაღა იგი. 18 დღის შემდეგ დროებით გაანთავისუფლეს, ხოლო 22 ივნისს წაიყვანეს ეკლესიაში და იქ წაუკითხეს ბრალდება, რომ იგიავრცელებდა ყალბსა და ღვთის მგმობელს აზრს: 1) მზე უძრავად სდგას მსოფლიოს ცენტრში და 2) დედამიწა უძრავი კი არაა და მსოფლიოს ცენტრში კი არ იმყოფება, არამედ მოძრაობს. მოხუცს დაემუქრნენ, რომ მას მოელოდა ცეცხლით დაწვა, თუ არ უარყოფდა თავის აზრებს და არ გამოაცხადებდა საქვეყნოდ, რომ რომის ეკლესიის ერთგული მსახურია და მორჩილი.

გალილეი იძულებული გახდა დამორჩილებოდა საშინელს ინკვიზიციას. მას მაინც მიუსაჯეს დატუსაღება, რომელიც შემდეგ აპატიეს. 1633 წლის ბოლოს იგი დიბინავდა ფლორენციის ახლო და სიკვდილამდის ინკვიზიცია ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს ყოველს მის ნაბიჯს. გალილეი წინანდებურად განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობას და არ უღალატა თავის წმინდა საქმეს მაშინაც კი, როცა მეტის მეცადინეობისაგან სრულიად დაბრმავდა. გარდაიცვალა 1641 წელს.

## წერილი ქართველ მაჰმადიანთან.

საყვარელო ძმაო ხუსეინ! ეს არის მივიღე შენი წერილი, რომელშიაც მეკითხები „შეიძლება თუ არა ჩვენ ნამდვილი ქართველები ვიყოთ, როცა თათრის რჯულს ვემსახურებით“? პასუხის მაგიერ ერთს ამბავს გიამბობ, რომელიც უნებლიეთ მაგონდება ყოველთვის, როდესაც ამგვარი კითხვებით მომმართავთ.

ერთს მდიდარს და მშვენიერ ქვეყანაში მეფობდა დედოფალი დარეჯანი, განთქმული გულუხვობით, მოწყალებით და სიბრძნით. მას ჰყავდა რამოდენიმე ვაჟი და ერთი ქალი სახელად ნანო, რომლის სილამაზე არავის თვალს არ ენახა. დედოფალი დარეჯანი სულ მის ალერსში იყო და არავისათვის მისაცემად არ ემეტებოდა, თუმცა ბევრი მეფე და მეფის შვილები ნატრულობდნენ მშვენიერი ნანოს შერთვას. არც ნანოს უნდოდა დაშორებოდა თავის ძვირფასს დედას და ძმებს და ყველას უარს ეუბნებოდა. ის უკვე 17—18 წლის ტურფა ქალწული იყო, როცა ძლიერმა უკრეთის მეფემ შაიმანმა გამოუგზავნა დედოფალ დარეჯანს მოციქულები და შემოუთვალა „მომეცი შენი ქალი ნებით, თუ არ გინდა ძალით წაგართვა“-ო, დედოფალმა ასეთ ურცხვ შემოთვლაზე უარით უპასუხა და დაიწყო ჯარების გროვება, რათა წინად დახვედროდა გაბრაზებული შაიმანის შემოსევას. მაგრამ დრო გადიოდა და შაიმანი კი არავითარს ნიშანს არ იძლეოდა ომის დაწყებისას. ბოლოს, დარწმუნებული შაიმანის სრულ მშვიდობიანობაში, დედოფალმა დარეჯანმა უმეტესობა ჯარისა დაითხოვა. სწორედ იმ დროს შაიმანის ძლიერი ჯარი მისი უფროსობით შემოიჭრა დარეჯანის სამეფოში, მიჰფანტ-მოჰფანტა მცირე ჯარი დარეჯანისა, მოჰკლა ორი მისი ვაჟი, აიღო სატახტო ქალაქი, დაატყვევა ბევრი წარჩინებულნი პირნი და ხელში ჩაიგდო თვით მშვენიერი ნანო. დედოფალმა დანარჩენი ვაჟებით მოასწრო დამალვა. გულმოჯერებული, ძლევა-მოსილი შაიმანი მდიდარი ნადავლით და ნანოს თანხლებით დაბრუნდა თავის სასახლეში, სადაც ჩააბარა ის მსახურთ, რომელთაც სასტიკად დაავალა მისი მოვლა.

მოწყვეტილი საყვარელ დედას და ძმებს, დაშორებული სამშობლო კერას, გამზადებული საცოლოდ სასტიკი შაიმანისათვის, რომლის შეხედვა მხოლოდ უსაზღვრო შიშს და ზიზღს იწვევდა მასში, საბრალო ნანო ძლიერ იტანჯებოდა და თვალუბზე ცრემლები არ ჰშორდებოდა. ბევრჯერ დააპირა გაქცევა, განიზრახა თავის მოკვლა, მაგრამ ცხრაკლიტულში მომწყვდეულს, დარაჯებით გარშემორტყმულს, არაფერი გაუვიდა. რამოდენიმეჯერ მოადგა დარეჯანის ჯარი მისი შვილების წინამძღოლობით შაიმანის სატახტო ქალაქს ნანოს გამოსახსნელად, მაგრამ რადგანაც თითოეულს ძმას ჰსურდა მხოლოდ ის ყოფილიყო დის მხსნელი, რის გამო ერთსულოვნად მოქმედებას გაურბოდნენ, ყოველთვის სასტიკად დამარცხებულნი უკუქცეულნი ბრუნდებოდნენ თავის დედასთან, რომელიც გულის ფანცქალით მოელოდა ყოველივე გალაშქრების შედეგს. რაც უფრო და უფრო იკარგებოდა იმედი ნანოს განთავისუფლებისა, მით უფრო და უფრო ნაღვლიანდებოდა, წყლულდებოდა დედის გული. ბოლოს, როცა უკანასკნელი იმედიც გაჰქრა, მის სახეს ღრმა მწუხარების ბეჭედი დაესო... ნანომაც დაჰკარგა ყოველივე იმედი განთავისუფლებისა და რადგანაც ბრძოლა, ყოველივე წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, ამიტომ ის თანდათან ეჩვეოდა აზრს შაიმანის ცოლად გახდომისა, თუმცა ფიქრი, საზარელი ფიქრი, თუ ვისთვის უნდა შეეწირა მას თავისი უძვირფასესი, უწმინდესი საუნჯე—ქალწულის უმანკოება—ჟრუანტელს გვრიდა მთელს მის არსებას. სხვა გზა არ იყო... საბრალო ნანო შაიმანის ცოლი შეიქნა...

გავიდა ხანი. შაიმანისაგან ნანოს შვილი ეყოლა. რაც უფრო იზრდებოდა ის, რაც უფრო უახლოვდებოდა, აკვირდებოდა ნანო თავის შვილის სახეს, მის ქცევს, მით უფრო ხედავდა ის მასში თავისს სრულ მსგავსებას, უხვს სასყიდელს დაკარგული უმანკოებისა და სიძულვილის მაგიერ უსაზღვრო, წმინდა სიყვარულმა შვილისადმი დაისადგურა მის გულში.

ერთხელ შაიმანის მესაზღვრე ჯარის კაცები გადავიდნენ საზღვარს და რამოდენიმე კაცი მოუკლეს მეზობელ მეფეს, რაზედაც უკანასკნელმა პასუხი მოსთხოვა შაიმანს. შაიმანმა უყურადღებოდ დასტოვა. განრისხებულმა მეზობელმა ხელმწიფემ ომი გამოუცხადა შაიმანს და საზღვარს გადმოვიდა.

შაიმანი მთავარი ჯარით მტერს წინ მიეგება. მაგრამ, როდესაც მოწინავე ჯარს ათვალიერებდა, მტრის ბანაკიდან გამოსროლილი ისარი მოხვდა ზურგში და სასიკვდილოთ დასჭრა. ორი საათის შემდეგ მთელს ჯარს მოედო ამბავი შაიმანის სიკვდილისა. სიკვდილმა მეფისა, სახელგანთქმულ მთავარსარდლისა, ძლიერ ცუდად იმოქმედა ჯარზე და სრულიად დაუკარგა ყოველივე ბრძოლის უნარი. მტრებმა ადვილად დაამარცხეს შაიმანის მთავარი ჯარი და შეუდგნენ ციხე-სიმაგრეების აღებას.

შაიმანის სიკვდილი შეიტყო დედოფალმა დარეჯანმა და ძლიერ გაუხარდა, რადგანაც ეხლა საშუალება ეძლეოდა ნანოს დაბრუნებისა. მაშინვე გაუგზავნა ნანოს კაცები და შეუთვალა, მიეტოვებინა აოხრებული შაიმანის სამეფო და დაბრუნებულიყო მასთან სამუდამოდ. მაგრამ, წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, მწუხარება, როდესაც ნანოსაგან შემდეგი შინაარსის წერილი მოუვიდა:

„თქვენო უდიდებულესობავ დედოფალო დარეჯან! თუმცა თქვენი შვილი ვარ, რის უარჰყოფაც არ შემიძლიან, მაგრამ თქვენთან დაბრუნება, თქვენთან ერთად ცხოვრება აწი შეუძლებლად მიმაჩნია. მიზესი ამისა ის არის, რომ მე ის უმანკო, ქალწული ნანო აღარა ვარ, რომელსაც თქვენ იცნობდით და გიყვარდათ. თქვენთან დაშორების შემდეგ ჩემს ცხოვრებ-ში ღრმა, წაუშლელი ცვლილება მოხდა, რომლის აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელია. მე შაიმანის, თქვენი ყოფილის მოსისხლე მტერის, ცოლი შევიქენ და მისგან შვილი მყავს. შვილი, რომელიც ჩემს წმიდათა-წმიდას, ერთად ერთს ნუგეშს, წარმოადგენს მთელს ჩემს სიცოცხლეში.

შვილი, ურომლოისოთაც ცხოვრება არ შემიძლიან, ვერც წარმომიდგენია. მე მას ვერ მოვშორდები. თქვენთან მისვლა, თქვენთან ერთად ცხოვრება კი სამუდამოდ მისს გაყრას მოითხოვს. მისი თქვენთან მოყვანა კი შეუძლებელია, რადგანაც თქვენ მას ვერ შეიყვარებთ. ვერ შეიყვარებთ იმიტომ, რომ ის შვილია თქვენი მოსისხლე მტერის, თქვენი შვილების მკვლელის და თქვენი ქალის უმანკოების დაკარგვის შედეგს წარმოადგენს. უკეთესია, ისევ შემოსეულ მტერს დავნებდე, რომელიც მპირდება შვილის ხელუხლებლობას, თუ დავემორჩილე და ათასგვარი უბედურობა გამოვცადო, ვიდრე ჩემი სათაყვანებელი შვილი თქვენგან მოძულებული და შეურაცხყოფილი დავინახო.

ოდესღაც თქვენი შვილი ნანო“.

გაოცებული, მწარე ფიქრებით გარემოცული, უძრავად იდგა დედოფალი დარეჯანი ერთს ადგილს ამ წერილის წაკითხვის შემდეგ და ვერ დაეჯერებია, არც უნდოდა დაეჯერა, რომ ასეთი ცივი, იჭვიანი და უნდობლობით გამსჭვალული წერილი მისი გულწრფელი, ყველასადმი ნდობით აღსავსე, კეთილი გულის, უსაყვარლესი შვილის, ნანოს ნაწერი იყო.

დიდ ხანს იყო დედოფალი დარეჯანი ერთს ადგილას, რომ ბოლოს სახე თანდათან გაუნათლდა, დაჯდა და შემდეგი წერილი დასწერა:

„ჩემო გულის საუკეთესო ვარდო, ჩემო ძვირფასო მარგალიტო, უსაყვარლესო შვილო ნანო!

რას ნიშნავს ის, რასაც შენ მწერ? ნუ თუ განვლილმა ხანმა, გამოცდილმა დარდმა, მწუხარებამ, ნახულმა უნდობლობამ და უანგარო, წმინდა სიყვარულის მოკლებამ ისე ღრმად შესცვალა შენი ფაქიზი, სპეტაკი ხასიათი და გული, ისე დაგიკარგა ადამიანის ნდობა, რომ დედას, შენი დაშორებით უზომოთ დამწუხრებულს, სასოწარკვეთილს, უსიყვარულოთ, ეჭვის თვალით უყურებ?! ნუ თუ იქ, სადაც შენ უსაზღვრო სიყვარული და გაღმერთება მოგელის, გესლიანი გველის შხამს და საწამლავს ჰხედავ!?

— ვინ ან რამ გაფიქრებინა, რომ შენს შვილს შევიძულებ? შევიძულებ მას, ვინც ჩემ ნანოს სიცოხლე გაუმშვენიერა, უმწვერვალესი ბედნიერება, შვილისადმი დედის სიყვარული, სავსებით გამოაცდევინა!? ძვირფასი იყო ჩემთვის შენი სიქალწულე—უმანკოება, მაგრამ არა ნაკლები საყვარელი, პატივსაცემი იქნება ჩემგან შენი დედობრივი, თვითგამწირველი სიყვარული და თვით საგანი ამ სიყვარულისა. დიახ, შვილო, მე შენს შვილს შევიყვარებ, შევიყვარებ იმიტომ, რომ ის, მე ეს ღრმადა მრწამს, შენსავით მშვენიერი წმინდა და საყვარელი იქნება. მაშ, მოიყვანე ის, მოდით ჩემთან და ეხლა მაინც გამომაცდევინეთ სავსებით ბედნიერება...

მოდი შვილო, მოდი, გაამხნევე, მოასულიერე, მუდამ ჩაგრული, წამებული შენი მშობელი!

მოუთმენლად მომელოდინე, მუდამ შენი მოტრფიალე.

დედა დარეჯანი“.

ეს არის ძმაო ხუსეინ, ჯერ-ჯერობით პასუხის მაგიერი; თუ რაიმე ახსნა დაგჭირდეს, მომწერე და გამოგზავნები.

შენი ერთგული და მოყვარული

ძმა პატარა გოგი.

და ბუნებრივია, რომ მათი კავშირი მემამულეებთან, მრავალ წლებით განმტკიცებული, ხასიათდება იმავე ზნეობრივ და საზოგადოებრივ თვისებებით, რაიცა ახასიათებდა ბატონებისა და ყმების ცხოვრებას. ამავე დროს არ უნდა გაუშვათ მხედველობიდგან, რომ ხიზნები თუმცა იხდიდნენ მემამულეთა სასარგებლოდ სხვა და სხვა ალაგას სხვა და სხვა გადასახადებს, მაგრამ არსებითად იგი გადასახადები იმნაირივეა, რანაირიც არის ყმების გადასახადები. მართალია, ხიზნები იყვნენ პირადად თავისუფალი ადამიანები და ამიტომ არ იხდიდნენ საბატონ-ყმო გადასახადებს, როგორც მაგალითად: ფულს მებატონის გაწერით, საშინაო სამსახურს, ძღვენს, საქორწილოს, სანათვლოს, საალაპოს და სხ., მაგრამ დროთა განმავლობაში, ქართველ გლეხ-კაცობის შორის მიწის სიმცირის განვითარებით და მიწის სათანადო გაძვირებით მემამულეები თან და თანავრცელებდნენ ხიზნებზე საბატონყმო გადასახადებს და ამნაირად პრაქტიკაში, რომელიც ჩვეულებამ განამტკიცა, ხიზანი თავის გადასახადებმოვალეობის სახით თან და თან დაუახლოვდა საბატონო ყმა-გლეხებს“. არგუმენტაცია სენატორ ნიკოლსკისა სრულიად მოკლებულია მეცნიერულ ხასიათს, მაგრამ ხსენებულ შემთხვევაში ბ. ნიკოლსკის მიერ ფაქტიური სინამდვილე რამდენათმე მართლად არის წარმოდგენილი.

ახლა შეგვიძლია ჩვენ ხიზნობის შესახებ სრული დასკვნა-რეზიუმე გამოვიყვანოთ. ფეოდალურმა წესწყობილებამ აუცილებლად გარდააქცია საპატრონატო ინსტიტუტი. სახელმწიფოებრივ ძალის დაუძლურებით პატრონალის ფარგალი ვიწროვდება. ე. ი. ფეოდალი ხდება სრული პატრონი კომენდატისა. სრულ იმუნიტეტის ფიქსაციით კომენდაციაში მყოფი პირი ჰკარგავს თავის „მეობას“ და იგი ხდება ნამდვილი ყმა ამგვარად წარმოშობილ ბატონყმობისა. ხიზნობა ერთი ელემენტია ბატონ ყმობისა, სწორედ ისე, როგორც საბატონო ყმა თავის მხრივ სხვა და სხვა სახეს და მდგომარეობას წარმოადგენდა. სხვა და სხვა ჯურის ყმას სხვა მნიშვნელობის გადასახადები და მოვალეობანი აწევა კისერზე, მაგრამ საერთოდ იგი მოვალეობა ბატონ-ყმურია. აქედან ცხადია, ხიზნის უფლება მიწაზე ისეთივეა, როგორიც ტიპიური საბატონო ყმისა.

* *
*

ალ. ყიფშიძე, ფარი, ან-ფარი, ბ. ამირაჯიბი და მთელი ბანაკი ჟურნალ „კლდი“-სა ხიზანთა ინსტიტუტის თავისუფალ დამოკიდებულების ალსარებით იმ პოლიტიკას კი არ ანვითარებს, რომ ძველთაგანვე თავისუფალი ხალხი დღეს მით უფრო იქმნას საუკეთესოდ მოწყობილი, არამედ, ხიზანთა „თავისუფლება“ მათ აინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი თავისუფლება ათავისუფლებს მებატონე-მემამულეთ ყოველგვარ სამამულო მსხვერპლისაგან. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ამ პოლიტიკას საძირკველი—ხიზანთა ინსტიტუტის იდეალიზაცია—მოუმწიფებელ გონების რთულ საგანზე ვარჯიშობაა, რომ ხიზნობა ძველადაც სავსებით ინაწილებდა ბატონ-ყმობის სიდუხჭირეს, რომ იგი ნამდვილი ყმობაა და მის წინაშე თავად-აზნაურობა იმდენად ვალდებულია, რამდენათაც საზოგადოდ ყმობის წინ.

ფარი, ან-ფარი და ძმანი მათნი ამტკიცებდნენ, თითქოს დღევანდელი ხიზნობა ნაძალადევად შექმნილი ინსტიტუტია, კეთილნებურობის ნაცვლად, იგი არასასურველია ქართველ მემამულეთათვის, იგი სამეურნეო კულტურის დამსამარებელია ჩვენში და საფრთხეა მთელი ერისათვის, რამდენადაც ეგ მხეცი ხალხი ხელთ იგდებს ქართველი ერის ადგილ-მამულს და მით არღვევს სიმთელეს საქართველოს ტერიტორიისას. ამნაირად, საკითხი საგანგებოდ გახლავსთ დაბანდულ-გახლართული, შიგ ჩაქსოვილია კლასობრივი, პოლიტიკური, ნაციონალური და წმინდა კულტურული ფაქტორები, რომ მით მთავრობისა და ერის წრეებში დამკვიდრებული იქმნას ხიზნობაზე ისეთი ყალბი შეხედულება, რომლის ზე-გავლენით საკანონმდებლო დაწესებულებაშიაც საკითხი ისე ჩამოყალიბდეს, როგორც იგი ჰსურს ასეთ ლეგენდების შემთხზველ თავად-აზნაურულ იდეოლოგებს. საკითხი მართლა ფრიად საინტერესოა და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადამახინჯებულ პოლიტიკურ ისტორიის ნაცვლად წამოვაყენოთ ხიზანთა მდგომარეობის ნამდვილი ისტორია.

ხიზანთა საკითხის პოლიტიკური ისტორია მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდგან იწყება. გლეხკაცთა განთავისუფლების საქმემ წარმოშვა იგი. თავდაპირველადვე ამ საკითხის ისტორია მეტად ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული. მართალია, ბ. ან-ფარი ამბობს, რომ ქართველ ხიზნებს მუდამ „კარგი პრესსა“ ჰქონდა. დღიდგან მათს შესახებ საკითხის აღორძინებისა დღევანდლამდე არ შეწყვეტილა ცხარე მოწოდება ხიზანთა სასარგებლოდ.“ 1) მაგრამ აქ ბ. ან-ფარი ჩვეულებრივ სიყალბეს იჩენს. მას ან სრულიად არავითარი წარმოდგენა არ აქვს ამ საკითხის ისტორიაზე, ან აქვს, მაგრამ განზრახ ამახინჯებს მას ცხადია, პირველი არ ცოდვაა, ხოლო მეორე პირდაპირი დანაშაულობაა. თვით იმ დროში, როდესაც ხიზანთა საკითხი ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა, ქართულ-რუსული პრესაც არსებობდა, მაგრამ—როგორც საზოგადოდ გლეხ-კაცთა განთავისუფლების საქმეზე—ისე კერძოდ ხიზანთა შესახებ არავინ არაფერს ამბობდა, თვით ოფიციალური ისტორიკოსი ამ მოვლენისა ასე ახასიათებს საკითხის ამ მხარეს: საზოგადოდ რუსეთის და ამიერ-კავკასიის საგლეხო რეფორმის შესახებ მასალები სათანადოდ მოიპოებოდა, „მაგრამ არც აგრე ადვილი იყო საგლეხო რეფორმების შესახები მასალების შოვნა. ჩვენში, კავკასიაში, ამ რეფორმების შესახებ თითქმის არაფერი არ იბეჭდებოდა; ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანო თითქმის გარეშე იდგა ამ საქმიდგან. ცნობები გლეხ-კაცთა განთავისუფლების საქმის გამომრკვევი და მისი შედეგების აღმსხნელი—უმთავრესად ოფიციალურ დაწესებულებათა ხელში იყო მოქცეული და ამნაირად საზოგადოებისათვის და მემატიანესათვის იგი არ არსებულ რამეს წარმოადგენდა, თუმცა თავისთავად იგი იყო ძვირფასი მასალა. ცხადია, რომ ასეთი თავაშვებული შევიწროება ბეჭდვითი სიტყვისა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ანაქრონიზმს“. 2) მდგომარეობა სრულიად არ შეცვლილა შემდგომ ხანაში. 1891 წლის კანონმა მართალია გამოიწვია „დემოკრატიულ“ პრესის ახმაურება, მაგრამ ამ დროსაც საოფიციოზო ლიტერატურა მეტად იბრძოდა, ვინემ სახალხო პრესა. ჭეშმარიტად, „კარგი პრესსა“ ჰქონდა ხიზანთა საკითხს, იგი პრესა ერთობ საოფიციოზო—სათავად-აზნაურო გახლდათ და სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს გასავალი აქვს კიდევ—მართალია მხოლოდ გულუბრყვილო მოაზრეთა შორის, ისეთ ლეგენდებს, რომელმაც ასე მოურიდებლად სთხზავს ბ. ან-ფარი.

თევდ. ღლონტი.

(შემდეგი იქნება).

1) იხ. Ан-Пари „Грузинскіе хизаны и идеологи хизанства“ № 239 „З. Р.“

2) იხ. „Матеріалы о крестьянской реформѣ въ Тифлисскоц губ.“ ხისერმანის რედაქცია, გვ. 232 - 233 ტომი I.

## პატარა ფელეტონი

### და მხოლოდ ეს!

უკანასკნელი ღონე შემოიკრიბა, წამოიწია, ხის ტახტმა აურზაური ასტეხა, მძიმე ბორკილებმა ცივად გაირახრუნა დამხმარ წვივებზე... კედელს მიეჯინა, სარკმელთან მიცოცდა. ერთხელ კიდევ. მოავლო თვალი შავად გამომყურე ქალაქს, უზარ მაზარ შენობებს, ჭიანჭველასავით მოფუსფუსე არსებათ, გახედა შორს მიყვითლებულ მინდორ ველებს, გახუნებულ ღრუბელთა შორის სამგლოვიარო პროცესი გაემართათ შავ ყორნებს, გულ-შავად დასჩხაოდენ კაცის ბედ-იღბალს.

— ეეე... თავო ჩემო, ჩემს ქვეყანაშიც ასე იცოდნენ ამ გული მკვდარეებმა ჩხავილი. ასევე წამომიშლიდნენ მწვავე კაეშანს... სამაგიეროთ ბულბულის სტვენაც მიტკბობდა იქ ყურთა სმენას, მიხარებდა გულს, ჰყვავოდა ჩემი ახალგაზდობა.. ეჰ, ეჰ, ეჰ, გაისმა ყრუ ხველა, ავადმყოფმა უღონოთ დასდო თავი ფანჯრის ფიცარზე, დამხმარი თითები მჭიდროთ ჩაავლო ცივ ქვას...

—„ბედო ორ პირო, უპირო, ამრევო გზა და კვალისა“ ჩაიღიღინა ხმა დაბლა.

— და მხოლოდ ეს? ეს იყო ჩემი ცხოვრების გზა, ჩემი მიზანი... და მხოლოდ ეს?.. მხოლოდ ეს?.. ფუ...

კიდევ ასწია თავი, სიცხიანი თვალები ისევ მოავლო არე მარეს,

— ჩემო ქვეყანავ! ჩემო ქვეყანავ, ერთხელ მაინც მენახე, ერთხელ მაინც შემესუნთქა შენი ჰაერი, ერთხელ მაინც ჩამკროდა გულში შენი შვილი, შენს მოყვარულ მკერდზე განეტოვა სული შენს წამებულ შვილს... სად მოვკვდე, სად დავიმარხო, ვინ დამიტიროს სადაური? რათა, რისთვის?!

შემოსძახა მწარედ ტუსაღმა; ცხოვრების მთელი ბოლმა ამოატანა ამ დამღერებას, უკანასკნელად გაიბრძოლა, ღონივრად შეარახრუნა ბორკილები, შეანარცხა ერთი მეორეს, ლამოდა დაწყვეტას... სუსტი მკლავები ძირს დაუცვივდა, გულმაც მძიმედ დაუწყო ქშენა, თვალებზე ცრემლებმა უწყო ციმციმი, მაგრამ სძლია, უკუ აბრუნა. რიღასი კატორღელია, თუ იტირებს, ივაგლახებს? გადაწყვეტით ჩაიქნია ხელი და მიაშურა სიკვდილის სარეცელს...

— ჰეი, ჰეი... ვინა ხართ მანდ მაგ სიბნელეში... ჰაერი, ჰაერი მიეთ მომაკვდავს... გასწიეთ განზე კედლები, აწიეთ მაღლა ჭერს, ჯალეწეთ ფანჯარა, გზა მიეცით სიცოცხლეს.

დაიყვირა და წამოიწია.

— მომეთ ჰაერი, მომეთ სიცოცხლე... წყეული იყავთ მწვალებელნო... წყეული იყავ, სიკვდილო! მძულხარ, მეზიზღები... საძაგელო... მახინჯო... დედა! დედაჯან, გიკვდება შვილი, ცივმა სიკვდილმა დაისადგურა ახალგაზრდას სხეულში, დედი, გასტეხა ჩემი რკინის სიმაგრე.. დიდნა ქვის გული, დაუბნელდა არწივს მხედველობა, დედი! მოდი... მოდი... წყალი... რაო? ვინ... ვინ მოვიდა?.. ბიჭო... ბიჭო მიშველ...

— „უუუ“ — დაიძახა, სისხლის შადრევანმა კამარათ წამოხეთქა პირიდან, ტუსაღმა უღონოდ გადააგდო თავი... ერთიც შეერხოლდა... შესწყდა სიცოცხლე ცოცხალ სულში, ცოცხალ არსებაში...

**მარიამ გარიყული.**

## ქართული ენა ტფ. მეორე გიმნაზიაში

დღეს ტფ. სახაზინო მეორე გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ უნდა გადასწყვიტოს საკითხი ქართული ენის სწავლების შესახებ უფროს კლასებში. ეს საკითხი დიდად საყურადღებო საგანია და ყველაზე საგულისხმიერო ისაა, რომ, როგორც ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, ზოგიერთმა ქართველმა მშობლებმა განაცხადეს: ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლითო.

მეტად აღსაშფოთებელია ამგვარი სამარცხვინო საქციელი! ზნეობრივი სიმახინჯე, მონური დაბეჩავება და გონებრივი სილაჩრე ამაზე შორს ვეღარ წავა. მის ნაცვლად, რომ ყველგან მოვითხოვოთ შევიწროვებული ქართული ენის ასპარეზის გაფართოვება, ვიბრძოლოთ მისი შელახული უფლების აღსადგენად, დავეწაფოთ ყოველმხრივ დედა-ენის შესწავლასა და შეთვისებას, ჩვენი ზოგიერთი მშობლები იმას თხოულობენ, რომ კიდევ უფრო შემცირდეს ქართულის სწავლება, კიდევ უფრო დაჩაგრული იქნეს ჩვენი ეროვნება, კიდევ უფრო შეიზღუდოს ჩვენი თვით არსებობის ფარგალი!

საჭიროა, რომ ასეთი მშობლების გვარები საქვეყნოდ გამოცხადდეს. ყველამ იცოდეს მათი ვინაობა და ზიზღით მოიხსენიოს მომავალმა თაობამაც!..

საბედნიეროდ ყველანი გვერდში არ ამოუდგნენ შერცხვენილს მშობლებს, და მათი ხმა არ არის საერთო ხმა.

გუშინ ერთმა „აღელვებულ მშობელთაგანმა“ შემდეგი წერილი მოუტანა დასაბეჭდად ჩვენს გაზეთს:

„სახალხო გაზეთის“ მე № 1110 ნომერში ამოვიკითხე ამბავი ქართული ენის შესახებ მეორე სავაჟო გიმნაზიაში, რომელშიაც ჩემი უმთავრესი ყურადღება მიიქცია შემდეგმა სიტყვებმა: „როგორც გავიგეთ, გიმნაზიის საბჭო მშობლებს შეეკითხებია, გსურთ თუ არა, რომ თქვენმა შვილებმა ქართული ენა ისწავლონო; ზოგს მათგანს ქართულ ენაზედ სრულიად უარი უთქვამს და სხვა...

ნუ თუ ეს მართალია?! ნუ თუ ყველა ეს დასაჯერებელია?! ნუ თუ იმდენად დაბრმავდა ზოგიერთი მშობლების გონება, რომ ასე უსირცხვილოდ უარს ამბობენ თავიანთ ენაზედ?! ნეტავი გამაგებინა, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ეს უღირსი მშობლები, როცა ამას ამბობდნენ?!

მეტად ძნელი ასატანია და მოსათმენი ყველა ღირსეული მშობლებისაგან ეს საზიზღარი და სამარცხვინო უარისყოფა. მე ჩემის მხრით ზიზღს ვუცხადებ ამისთანა მშობლებს და ღმერთსა ვსთხოვ, რომ მათი ხსენება სამუდამოდ აღგვილიყოს პირისაგან დედა-მიწისა, რომ მათგან ჩირქი არ მოეცხოს ჩვენს საყვარელს და სათაყვანებელს ქართულ ენას“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, სხვა მშობლები შეუერთებიან ამ გულწრფელს აღშფოთებას და მედგარ ხმას ამოიღებენ ქართული ენის დასაცავად. ყოველის ღონით ეცდებიან, რომ ქართული ენა არა თუ დარჩეს მეორე გიმნაზიის უფროს კლასებში, არამედ დღევანდელზე უკეთეს პირობებში მოეწყოს ქართულის სწავლება. ეცდებიან იმასაც, რომ ღრმად ჩაუნერგონ შვილებს დედა-ენის შესწავლის საჭიროება, შეაგნებინონ ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ

რა ენა წახდეს,
— ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

**ხ. ფ.**

## ტფილისის გუბერნატორის უქვეშევრდომილესი მოხსენება

გაზეთ „დენ“-ის მე-34 ნომერში მოყვანილია ამონაწერები ტფილისის გუბერნატორის უქვეშევრდომილეს მოხსენებისა. გუბერნატორი ერთ ადგილს სწერს:

„არსებობდა და ზოგიერთ წრეში ეხლაც არსებობს ისეთი აზრი, ვითომც ადგილობრივ მცხოვრებთა მართვა-გამგეობა სიმკაცრეზე უნდა ემყარებოდეს და ვითომც საჭირო იყოს განსაკუთრებული ზომების მიღება მათდა ძიმართ. ეს სინამდვილეს არ შეეფერება; ადგილობრივი მცხოვრებნი მუქარასა და დაშინებას ადვილად ეჩვევიან; სამაგიეროდ ძალიან აფასებენ მთავრობის კეთილ-განწყობილებასა და ღირსეულ მოპყრობას; ასეთს მოპყრობას იმდენად არ ეჩვევიან, რომ მისი მნიშვნელობა ავიწყდებოდეთ. აი სწორედ ამ კეთილგანწყობილების პოლიტიკის ნიადაგზე შეიძლება მმართველ ი იმავე დროს კანონის სასტიკი დამცველიც იყოს“.

საქართველოს ეკლესიის თაობაზე გუბერნატორი სწერს: „გულსაკლავ შთაბეჭდილებას ახდენს მართმადიდებელ ქართველთა განწყობილება ეკლესიისადმი. თითქმის ყველა ეკლესია გავერანებულია. ეკლესიებს არ აჩნევიათ კვალი ღვთისნიერობისა, რომელიც გულთბილი მზრუნველობით მოუვლიდა სამლოცველო ტაძარს.

ქართველ სოფლის ეკლესიები სიცივეს მოჰბერს. მცხოვრები ლოცვით არა სცხოვრებენ, მით არ სულდგმულებენ. ეკლესიები მხოლოდ აუცილებელ წეს-რიგის შესასრულებელი ადგილია. ეკლესიის სიყვარული კი არა, პატივისცემაც არ ეტყობათ. უნებურად იბადება აზრი, აუცილებლად აღდგენილი იყოს მტკიცე კავშირის ეკლესიისა და მცხოვრებთა შორის; ამ მხრივ ერთად-ერთ საიმედოდ შეიძლება ჩავთვალოთ სამრევლო-საეკლესიო სკოლები. ამ სკოლებში ჯეროვანად დაყენებული ზნეობრივი აღზრდა ქართველებს ეკლესიას დაუახლოვებს, როგორც დედაგულს სულიერის მოთხოვნილებისას, რაიც ასე სუსტად მოსჩანს საქართველოს სოფლებში“.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გუბერნატორის აზრით ყაჩაღობასთან ბრძოლის უნაყოფობა მცხოვრებთა დანაშაულად არ ჩაითვლება.

„შენიშნულია, რომ ყაჩაღების თარეშობისაგან გაბეზრებული მცხოვრებთა გონიერი ნაწილი ჰგრძნობს საჭიროებას ბოლო მოუღოს ასეთ აუტანელ პირობებს. იგი ყაჩაღობის დევნაში ადმინისტრაციას ეხმარება. იგი სასოფლო განაჩენებით კისრულობს ფულის გაღებას ყაჩაღების მდევნელ რაზმის სარჩენად.

მეორე დამაბრკოლებელ მიზეზად ყაჩაღობის აღმოფხვრისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ პოლიციის უფროსნი შეცდომაში შედიან და ამ საქმის მოსაგვარებელ ერთად-ერთ საშუალებად მცხოვრებთა შევიწროვება მიაჩნიათ. იმასაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ საგუბერნიო მთავრობას სისრულეში არ მოჰყავს ის მუქარა, რომელსაც პოლიციის მოხელეებს შეუთვლის ხოლმე.

ამ მიზეზების თავიდან ჰცილებასთან ერთად, უნდა მოეწყოს გამუდმებული სწრაფი დევნა ყაჩაღებისა და არა ისეთი დროული და ხამუშხამუში, როგორც ეხლაა. უნდა რიგიანად გამოვიყენოთ აგენტების ძალ-ღონე და, რაც უმთავრესია, შეუბრალებლად გადავაყენოთ ხოლმე პოლიციის მოხელენი, რომელნიც შესაფერ ნაყოფიერებას ვერ იჩენენ საქმეში“.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

**7 თებერვლის სხდომა.**

**ვარუნ-სეკრეტი** თავმჯდომარეობს. განსახილველია შრომის ჯგუფისა და კადეტების შეკითხვა ფინანსთა მინისტრისადმი ს. სტეპანოვკის გლეხების აყრის თაობაზე, რომელთაც საგლეხო ბანკის ვალი ვერ გადაუხდიათ.

**გლადიში** სათათბიროს მოუთხრობს საქმის ვითარებას. მცხოვრებთა აყრა და სახლ-კარის დაშლა დიდძალ გლეხობას მოელის. საგლეხო ბანკი ამით თვის ინტერესებსაც არღვევსო. ამგვარის პოლიტიკით გლეხებში გაბოროტებას იწვევს. სათათბირომ ბანკის პოლიტიკა უნდა დაჰგმოს.

**კერენსკი** საგლეხო და სათავადაზნაურო ბანკების ანგარიშს ადარებს. თავად-აზნაურებს ვალის გადახდაში ყოველგვარი შეღავათი ეძლევათ, გლეხებს კი შეუბრალებლად ახდევინებენ „ნედოიმკებს“; გლეხები დარჩენილ გადასახადზე უარს მხოლოდ მაშინ ამბობენ, როდესაც გასაყიდი და დასაგირავებელი აღარა გააჩნიათ რა. კანონის ასეთი მკაცრი და სასტიკი მოხმარება, როგორიც არის გლეხთა აყრა და კარ-მიდამოს დაქცევა, ჩვენი შინაური ცხოვრებაში აღვირ ახსნილ თვითნებობასა ჰმოწმობს.

**ჩხენკელი.** გლეხთა ხელოვნური აყრა და დაწიოკება იაფ-ფასიან მუშა ხელთა დაუშრეტელ წყაროსა ჰქმნის, რომლითაც მემამულენი და კაპიტალისტები სარგებლობენ.

**მარკოვი მეორე.** სათათბირომ გულდამშვიდებით უნდა განიხილოს შეკითხვა და შეამოწმოს. მართლა ასე მოიქცა მთავრობა თუ არა — ამისთვის შეკითხვა კომისიას უნდა გადაეცეს. შეკითხვის არსებითი მხარეზე მარკოვი ამბობს: საგლეხო ბანკს რამოდენიმე წელიწადია მოლაპარაკება ჰქონდა სტეპანოვკის გლეხებთან; რამდენჯერმე გაახსენა და გააფრთხილა ბანკმა გლეხები და სასამართლოს შემდეგ მიჰმართა. სასამართლომ გლეხების მიწები ჩამორთმეულად ჩასთვალა. კერენსკის მტკიცება — თავად-აზნაურებს ყველაფერს აძლევენ და გლეხებს კი ყველაფერს ართმევენო — უტიფარი სიცრუეა. მარკოვი ეკითხება სათათბიროს: მართალია, სტეპანოვკის გლეხების ბედი ფრიად სამწუხაროა, მაგრამ რა უნდა ექმნა ბანკის გამგეს? თუ გლეხების აყრა საჭირო იყო, უფრო ზამთარში უნდა აეყარათ, რადგან ამ დროს გლეხებს თვისი ცხოვრების შეცვლა შეუძლიანთ; გლეხებისათვის ზაფხული უფრო ძვირფასი დროა.

**შინგარევი.** მარკოვი საოცარი უაზრობამდე მივიდა, როდესაც ამტკიცებდა, რომ უფრო სამჯობინაროა გლეხების ქუჩაზე გამოყრა სუსხიან ზამთარში, ვიდრე გაზაფხულზეო. შეკითხვის კომისიაში გადაცემა საჭირო არ არის, რადგანაც გაზეთებში მოთავსებული ამბებით უკვე დაწვრილებით ვიცით საქმის ვითარება.

**აფანასიევი.** თუ გლეხები შეკითხვის კომისიაში გადაცემას მისცემენ ხმას, არავითარი უფლება არ ექნებათ თავის თავს ხალხის წარმომადგენლობი უწოდონ.

**მარკოვი მეორე.** როდესაც გამოირკვა, რომ ლაპარაკია არა შეკითხვაზე მთავრობისადმი, არამედ კითხვაზე, მარკოვი საჭიროდ სთვლის გამოარკვიოს ეს სამწუხარო გაუგებრობა და აცხადებს, მემარჯვენენი შეკითხვის მიღებას დაუჭერენ მხარსაო.

კენჭის ყრით შეკითხვა ერთხმად მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს რამდენიმე კანონ-პროექტი.

**კარაულოვი** მოხსენებასა კითხულობს საკანონმდებლო მოსაზრებაზე ლიფლანდიისა და კურლანდიის გუბერნიებში საგზაო გადასახადთა დებულებების შეცვლის და დამატების შესახებ.

ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა მთავარ სამართველოს უფროსმა განაცხადა, უწყება იკისრებს შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავებას, თუმცა წინდაწინვე ვერ იტყვის რა სახისა იქნება იგი. **შოლდმანი, რამოდი და კლინი** ის მოსაზრებას იცავენ.

**იჩასი** ფორმულა შექვს, რომლითაც სასურველადი სცნობს საგზაო გადასახადი იმ ადგილებში, საცა საერობო თვითმართველობა არ არის შემოღებული, ყველა მოქალაქესა და მცხოვრებთა შორის თანაბრად განაწილდეს; ამასთანავე სულადით გადასახადი ფულით შეცვალოსო.

მოსაზრება სასურველად სცნეს.

იჩას ფორმულის შესახებ ილაპარაკეს ბარონმა ვოლფმა, მეიენდორფმა, თავ. მანსირევმა, შინგარევმა და კლინისმა.

იჩას ფორმულა მისივე რედაქციით მიიღეს.

**გრ. ბენიგსენი.** მოხსენებასა კითხულობს სათათბიროს განყოფილების დასკვნაზე ქალაქ ოდესის პირველ ნაწილის არჩევნების შესახებ, რის მეოხებითაც სათათბიროში აირჩიეს ლევაშევი.

სათათბიროს უმრავლესობამ დაადგინა, ამ საკითხზე კენჭის ყრა სხვა დროსთვის გადასდოს.

**ლაშკევიჩი.** მოხსენებასა კითხულობს სათათბირო განყოფილების დასკვნაზე ქალაქ ოდესის მეორე ნაწილის არჩევნების წარმოების შესახებ, რომელზედაც აირჩიეს ეპისკოპოსი ანატოლი. კომისიამ არჩევნების წარმოების შემოწმების დროს აღმოაჩინა, რომ საარჩევნო ბიულეტენები ყალბი იყო. კომისია წინადადებას აძლევს სათათბიროს ოდესის მეორე ნაწილის არჩევნები უკანონოდ იცნოს და ხელმეორე არჩევნები დაინიშნოს.

**ველიხოვი** მოჰყავს სხვა საბუთები, დამამტკიცებს, რომ ოდესაში არჩევნების დროს საარჩევნო სიებში ცენზის მიუხედავად შეჰქონდათ მემარჯვენე ორგანიზაციათ წარმომადგენელნი, გარდაცვალებულნი, ბავშვები, ადესიდან წასული პირნი, უცხოეთის ქვეშევრდომნი; ამავე დროს სიები ერთი და იგივე პირი ორჯერსამჯერ შეჰქონდათ. ველიხოვმა კიდევ მრავალი ბოროტ-მოქმედებანი ჩამოსთვალა და სიტყვა ასე დაამთავრა: ოდესის არჩევნებში მონაწილეობის მიღება არა მარტო უნაყოფო იქნებოდა, არამედ საშიში და სახიფათოც (ტაში მარცხნივ და ცენტრის ნაწილში). ჩაწერილია 25 მოლაპარაკე.

**პურიშკევიჩი.** საცა ბრძოლაა, იქ უკმაყოფილებაც იქნება. ადესა განთქმულია, როგორც ებრაელთა ხელში ჩავარდნილი ქალაქი; არჩევნების დროს ებრაელები წაიკიდნენ და სამ კანდიდატს აძლევდნენ ხმას. არჩევნების შედეგი ის იყო, რომ დეპუტატი აირჩიეს არა თუ ებრაელი, მართმადიდებელი, მემარჯვენე და ისიც ეპისკოპოსი. ებრაელებმა რომ დაინახეს სათათბიროში ებრაელი კი არ წავიდა, არამედ ეპისკოპოსი, არჩევნების გაბათილება მოინდომეს. ყალბი საარჩევნო სიები პროვოკაცია იქნება იმათ მხრივ, ვინც არჩევნების გაბათილების მომხრენი არიან. თუ მართლა ეპისკოპოსი ანატოლი უკანონოდ არის არჩეული, რატომ ერთი შეკითხვა მაინც არ შემოიტანეს სათათბიროში? პურიშკევიჩი მოუწოდებს სათათბიროს საუკეთესო ნაწილს. ანატოლის არჩევნები კანონიერადა სცნოს და შეძლება მისცეს ეპისკოპოს დაიცვას რუსი ხალხის ინტერესები და მართმადიდებელი ეკლესია (ტაში მარჯვნივ).

შემდეგი სხდომა 11 თებერვლისთვის არის დანიშნული.

## სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერ. სააგ.)

**7 თებერვლის სხდომა.**

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს.

საბჭო განაგრძობს კამათს 27 მუხლზე, განსაზღვრულ ფასის შესახებ.

**კარპოვი** თვის შესწორებას იცავს.

**თხორჟნიკოვი** კარპოვის შესწორებას მხარს უჭერს.

**ვასილიევი.** კარპოვის შესწორება გვიჩვენებს, თუ რამდენად რთულია გამონაგარიშება. ეს საკითხი ცალკე განხილვას ითხოვს. ამის გამო საჭიროა 27 მუხლის გამორიცხვა. საბჭომ უარჰყო ვასილიევის შესწორება, რომლითაც შემდეგი ფასები წესდება: გაწმენდილი არაყი 37° ვედრო ღირს—7 მ.—8 მ. 50 კ., თითო გრადუსი სპირტი ღირს—$17^{1}/_{2}$ კაპ.—$22^{3}/_{4}$ კაპიკამდე; სასმელი არაყის ვედრო—8—12 მან.

განსახილველია 20 მუხლი კანონპროექტისა, რომელიც მოითხოვს ეტიკეტზე აღნიშნული იყოს ღვინის მავნებლობა, ადგილი და დრო გაყიდვისა.

**ზინოვიევი მეორე** მოითხოვს ეს მუხლი დაიცვან, მხოლოდ გამორიცხონ ეტიკეტზე არყის მავნებლობის აღნიშვნა, როგორც ზედმეტი.

**გურკო** მოითხოვს არყის მავნებლობის აღნიშვნას; ამას დიდი მნიშვნელობა აქვსო.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **ნოვიცკი** ამის წინააღმდეგია. გასაოცარი იქნება მთავრობამ მავნებლად აღიაროს ის, რასაცა ჰყიდის.

**ზინოვიევი მესამე** მოითხოვს კომისიის დასკვნის მიღებას და მთელ მუხლის უარყოფას.

საბჭომ უარჰყო 20 მუხლი; უარჰყო აგრეთვე 22 და 23 მუხლი, რომელთაც აკრძალულ ვაჭრობას ჰასუხისგებას პოლიციას ეკისრებოდა. სამაგიეროდ შეიტანა 28 მუხლი, რომლითაც პოლიციას ევალება მაგარ სასმელთა ვაჭრობის მეთვალყურეობა.

განსახილველია მე-29 მუხლი მაგარ სასმელთა გაყიდვის მოვალეობის ასრულებისათვის ჯილდოს დანიშვნაზე.

ბევრმა მოლაპარაკემ ამის წინააღმდეგ ილაპარაკა, რადგანაც მათის აზრით ეს მუხლი ხელს შეუწყობს ლოთობის გავრცელებას.

საბჭოს უმრავლესობამ ეს მუხლი არ მიიღო.

საბჭომ უარჰყო სათათბიროს პროექტის მუხლი, რომელიც მოითხოვდა დაჯილდოვებას საიდუმლო ვაჭრობის აღმოჩენისათვის. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია 32 მუხლმა; ამ მუხლის თანახმად აუცილებლივ საჭიროა დაბალ და საშუალო სასწავლებლებში მოწაფეებს განუმარტონ ლოთობის მავნებლობა.

**არქიეპისკ. არსენი** ვრცელ სიტყვას ამბობს ამ მუხლის თაობაზე. მოლაპარაკეს მუხლის მიღება ფრიად სასურველად მიაჩნია, მაგრამ მის გასაფართოვებლად შეაქვს რამდენიმე შესწორება.

რამდენიმე მოლაპარაკის შემდეგ საბჭომ მიიღო ეს მუხლი არქიეპისკოპოს არსენის შესწორებით.

შემდეგი სხდომა 8 თებერვლისათვის არის დანიშნული.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის** კრების გაგრძელება 7 თებერვალს მოხდა მეფის მოადგილის თანაშემწის პეტერსონის თავმჯდომარეობით. ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა კრებას მოახსენა საფინანსო კომისიის მუშაობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ნაღდ ფულად ამ ჟამად პოლიტეხნიკუმს აქვს 400,000 მანეთამდე, რომელიც სახელმწიფო ბანკში ინახება. თ-დმა არღუთინსკიმ აღნიშნა, რომ ფული ამ ბანკში სარგებელს არ იძლევა და ამიტომ საჭიროა მისი გადატანა რომელიმე კერძო ბანკში. კრებამ კამათის შემდეგ მიიღო წინადადება პირველ საკრედიტო საზოგადოების დირექტორის თ-დ გ. მ. თუმანოვის წინადადება: შეინახოს ფული ხსენებულ საზოგადოებაში. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კრებას ურჩია, ახლავ დააგირაოს გასაყიდი საქალაქო მიწა და ფული ბანკში შეინახოს. თ-დმა არღუთინსკიმ ეს მოუხერხებლად სცნო მით უფრო, რომ მიწები ნაღდ ფულად ჩქარა იქცევაო. კომიტეტს ბ-ნმა გულიევმა მოახსენა სატეხნიკო კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. ბ-ნმა გულიევმა აღნიშნა, რომ კომისიამ მოიწვია ხუროთმოძღვარი რაგუისკი, მაგრამ აქ მუშაობაზე უარი სთქვა; ახლა კომისიამ პოლიტეხნიკუმის გეგმის შედგენა მიანდო სამს ინჟინერს: ალაჯანოვს, კალგინს და ტერ-მიქელოვს, რომელთაც ჯილდოდ უნდა მიეცეთ 21,000 მან. ეს პირნი მუშაობას 15 აპრილისათვის დაასრულებენ და 20 აპრილისთვის შესაძლებელი გახდება მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის კრების მოწვევა იმის გადასაწყვეტად, თუ როდის ჩაჰყარონ პოლიტეხნიკუმის საძირკველი. კრებამ საჭიროდ სცნო, ახლავ მოიწვიოს პოლიტეხნიკუმის დირექტორი, თანახმად სატეხნიკო კომისიის წინადადებისა. კრებამ ამასთანავე დაადგინა, სატეხნიკო კომისია საამშენებლო კომისიად გარდაქმნას და მის განკარგულებაში გადასდოს 50,000 მან. კომისიის ხაზინადრად არჩეულ იქმნა ვაჭართა მამასახლისი ა. ნ. მილოვი, ხოლო მის თანაშემწედ ხმოსანი მინკევიჩი.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობ სექციის** კრება, რომელიც 7 თებერვლისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. სასკოლო სექციის** კრება 6 თებერვალს მოხდა. სექციამ დაადგინა: 1) მისცეს ანნა კაპანაძეს რამდენიმე ცალი „დედა-ენა“ (1-ლი ნაწილი) [illegible] ულები ხალხში უფასოდ [illegible] ლად და 2) მისცეს უფასოდ ს. ქედის (აჭარა) სამინისტრო სკოლის მასწავლებელს მაკარ კოპალეიშვილს, რომელსაც განუზრახავს საკვირაო სკოლის დაარსება და მოსწავლეთათვის ქართულ ენის სწავლება და 3) დაავალოს საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელმეთვალყურეს გრ. ბურჭულაძეს, შეჰკრიბოს ცნობები იმის შესახებ, რამდენად საჭიროა სკოლის დაარსება ბორჩალოს მაზრის ს. აკაუთაში და პირადად მოელაპარაკოს კნეინა არღუთინსკი-დოლგორუკოვისას, რომელიც სკოლას ბინას უთმობს და შენობის მოწყობასაც თვით კისრულობს. სასკოლო სექციის კრებები დღეის შემდეგ ყოველ ხუთშაბათობით იქმნება მოწვეული.

✦ **ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“-ს** პირველ ნაწილში ცვლილების შეტანის საკითხის გამო ხუთშაბათს, 13 თებერვალს, საგანგებო კრება ექნება ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასკოლო სექციას. კრებას სექციის თავმჯდომარე ლ. ბოცვაძე წარუდგენს თვის მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რა ცვლილებათა შეტანა არის საჭირო ამ სახელმძღვანელოში. სექციას აზრად აქვს, შეეკითხოს ჩვენს სხვა გამოცდილ მასწავლებლებსაც საჭირო ცვლილებათა შეტანის შესახებ.

✦ **ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის განსახილველად მაისისთვის არის განზრახული.

საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ მას, ს. ნუკრიანში უფასო ბიბლიოთეკა - სამკითხველო დაარსოს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** წლიურ კრების გაგრძელება დანიშნულია დღეისთვის სახალხო სახლში. კრებამ უნდა აირჩიოს თანამდებობის პირნი.

## ქართველი იუბილიარები და სომხის ინტელიგენცია

პარასკევს, 7 თებერვალს, „სალიტერატურო სალონში“ გაიმართა საღამო ი. ფალიაშვილის და კ. ყიფიანის პატივისაცემლად, მათ იუბილეების გამო. თავმჯდომარემ, მხატვარმა ბ. გ. ბაშინჯაღიანმა ორიოდე სიტყვით რუსულად მიულოცა ბ. კოტე ყიფიანს 45 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. ბ. ა. კასპარიანი ქართულად მიესალმა იუბილიარს და მოკლე სიტყვით მიულოცა სალონში დამსწრეთა მხრივ. რუსულად სიტყვები წარმოსთქვეს ექიმმა ბ. ნავასარდიანმა, ი. ნაკაშიძემ, გ. დიასამიძემ. თვისი მოგონებანი დიმიტრი ყიფიანის შესახებ წაიკითხა ი. ტერ-გრიგორიანმა სომხური ენაზე, ახალგაზრდა მომღერალმა ლორთქიფანიძემ შეასრულა რამდენიმე ქართული რომანსი, რის შემდეგაც სიმღერის პროფესორმა ე. ბროჯიმ იმღერა იტალიურად. პირველ ნაწილის დასასრულს იუბილიარმა კ. ყიფიანმა მადლობა გადუხადა დამსწრეთ. საღამოს მეორე ნაწილი მიძღვნილ იყო ი. ფალიაშვილისადმი.

საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ორივე იუბილარს. საღამომ კარგად ჩაიარა და სტუმრებს ჩაი და ხილეული მიართვეს.

## ხმა თელავიდან

თელავში ვაჭრობა - მრეწველობა დღითი-დღე მატულობს და რაიმე ბანკის უქონლობა დიდად ხელს უშლის. თუ რამდენად საჭიროა თელავში საკრედიტო დაწესებულება ეს, სხვათა შორის, იქიდამაცა სჩანს, რომ აქაურ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საქმეები მეტად კარგად წავიდა და ფულის შეტანასაც-კი ადგილი აღარ ავინ ერიდება.

წელიწადზე მეტია, რაც ვ. პოზოევის მეთაურობით აღიძრა საკითხი საურთიერთო საზოგადოების დაარსების შესახებ. მერე თუ სადმე საჭიროა ასეთი დაწესებულება, ეს თელავში. და ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ თუ სხვაგან ასობითაა, აქ ათასობით იქნება აღებ-მიცემობა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ეს საზოგადოება იანვრის 13-ში დაამტკიცეს

ფინანსთა სამინისტრომ და ამ მოკლე ხანში შესაძლებელი გახდება მისი განხორციელება.

ქუთაისში დაწყობილ კავკასიის ბანკის დაარსებას დიდის სიამოვნებით შეხვდა აქაური საზოგადოება. ამის შესახებ უკვე მოხდა მრავალ რიცხოვანი კრება. ბ. რუტკოვსკიმ დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ საქმის ვითარება. აქვე ბევრმა განაცხადა პაის შეძენის სურვილი. ამავე კრებაზე აირჩიეს კომისია, რომელიც იმოქმედებს და მიიღებს ხელის მოწერას.

ამ კომისიას თავ. მ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით უკვე ჰქონდა სხდომა. კომისია სამ მცირე კომისიად გაიყო, რომლებიც მიჩენილ მაზრის რაიონში იმოქმედებენ.

ეს ახალი საქმეები, რომლებსაც ხალისიანად ვამცნობ ხოლმე მკითხველს, მაგრამ ძველს-კი ვივიწყებთ. აგრე მესამე წელიწადია შევადგინეთ დამხმარე საზოგადოება, რომლის უმთავრესი მიზანი იყო სავაჭრო მაღაზიის გახსნა, რათა მუშტრისთვის კარგი თვისების საქონელი მიეწოდებინა, მაგრამ მას ვერ იქნა, ვერ ეღირსა განხორციელება, ჯერ თანხის უქონლობა უშლიდა ხელს, შემდეგ ფულიც იშოვეს და მგონი აღარაფერი უნდა აბრკოლებდეს საქმეს. ჩვენ ამას ვიმეორებთ საწყენად-კი არ ვამბობთ, არამედ გვინდა, ეს ძრიელ საჭირო საქმე მალე დაიწყოს. საჭიროა მისი დაჩქარება, თორემ არც ერთ მოვაჭრეს დუქნის უშოვნელობით ვაჭრობა არ შეუფერხებია და ნუ თუ ეს ან ნოქრების ძებნა ასეთი დამაბრკოლებელ მიზეზი უნდა გახდეს, რომ თადარიგს და მზადებას დასასრული არა ჰქონდეს.

**დავიწყებული.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**8 თებერვალი**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** ლორდთა პალატა, იმ ჩვენების მიხედვით, რომელიც მურეიმ 4 თებერვალს განაცხადა, ლენსდოუნმა შეიტანა რეზოლიუცია, დაინიშნოს საგამომძიებლო კომისია მურეისა და სხვათა წინააღმდეგ პრესაში გამოქვეყნებულ საბრალდებლო ცნობების გამოსაძიებლად. მთავრობის მხრით კრიუმ ეჭვი გამოსთქვა ამ კომისიის სარგებლობის შესახებ, თანაც განაცხადა მთავრობას არ შეუძლიან იკისროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაინიშნება. ლენსდოუნის წინადადება მიიღეს.

როიტერის ცნობით, პრინც ვიდის ლონდონში ყოფნის დროს ალბანიის სესხის საკითხის მოსაზრება ჯერ დასრულებული არ ყოფილა. დიპლომატიურ წრეებში იმედი აქვთ, იზმაილ ქემალის მიერ ავსტრო-იტალიანურ ბანკთან შეკრული კონცესია არსებითად შეიცვლება. ზოგიერთი ცვლილებანი უკვე შეტანილია კონცესიაში, სახელმწიფოებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ კონცესიის 40%-ში. უეჭველია საკითხი სასურველად გადასწყდება. თითონ პრინცი ვიდი ითხოვს სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილ სესხისა; მხოლოდ ეს იმ შემთხვევაში შესაძლო, თუ ალბანეთის ბანკს საერთაშორისო ხასიათი შერჩება. ავსტრიამ და იტალიამ წინდაწინ გადასცეს 10 მილიონი ფრანკი, საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, რომელიც გამოაკლდება 75 მილიონიან სესხს.

ბეტხალგრინის არჩევნების დროს დამარცხდა მასტერმანი, რომელიც კაბინეტში უნდა შესულიყო, როგორც ფოსტის დირექტორი. ხმის უმრავლესობა უნიონისტმა ვილსონმა მიიღო.

**პარიზი.** სენატის გუშინდელ სხდომას მოუთმენლად ელოდნენ. ამის მიზეზი გავრცელებული ხმები იყო, კაიო მხარს არ დაუჭერს შემოსავლის მიხედვით გადასახადს და მიწისა და უძრავ-ქონების გადასახადების რეფორმების დაკმაყოფილება, რადგანაც მცხოვრებლები ვითომც წინააღმდეგი არიან შემოსავლის მიხედვით გაწერილ გადასახადისა. კაიომ მართლაც თანხმობა განაცხადა იმ რეფორმების შემოღებაზე იმ სახით, როგორც სენატის კომისიამ შეიტანა, თუმცა განაცხადა: შემდეგ წინადადებას მივცემ სენატს მხარი დაუჭიროს, ყველა სხვა კატეგორიის გადასახადები, მათ შორის დამატებით საერთო შემოსავლის მიხედვით გაწერილ გადასახადსაცაო. ე. ი. უეჭველად მოითხოვს რეფორმის სავსებით გაყვანას. კაიოს განმარტების შემდეგ, სენატი შეუდგა კანონ-პროექტის მუხლ-მუხლად განხილვას.

**ბერლინი.** ზედა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი რუსეთ-პრუსიის საზღვრების შესწორებისა. პრუსიის პროვინციებში პოლიციელთა შესანახი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სოციალისტმა და პოლონელმა ორატორებმა აღნიშნეს ბოროტმოქმედებანი, რომელიც ჩაიდინეს პოლიციელებმა მისლოვიცაში ქალებით ვაჭრობის საქმეში. სოციალისტმა ლეინერმა განაცხადა, მისლოვიცის აგენტი ჰამბურგ-ამერიკის გემების საზოგადოებისა ქალებით ვაჭრობის გულისათვის გამოძევებულ იქმნა რუსეთიდანაო. ავსტრია-უნგრეთში პოლიციელებისა თვალწინ ემიგრანტ ქალებს ბეს ურიგებდა და საზღვარზე მდგარი მოხელეებიც მოისყიდაო. რუსეთმა მოითხოვა მისი გადასახლება, მაგრამ პრუსიამ უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ აგენტის გაძევება გერმანიის სანაოსნო ვაჭრობას ვნებას მოუტანსო. გამოირკვა, რომ ამ გზის შემოსავალმა ერთი მილიონით იმატა, მას შემდეგ რაც მის სამსახურში შევიდა ქალებით მოვაჭრე ლობელსკი, რომელმაც დაარსა ბიურო 150 მოსამსახურეთი; ეს ბიურო დაუზოგველად ჰქრთამავდა პოლიციას. სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, შესაფერ ზომებს მივიღებთო. რეიხსტაგში საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ნაციონალ-ლიბერალების ბელადმა ბასერმანმა განაცხადა, გერმანიას არა სურს ჩხუბი საფრანგეთთან, მაგრამ უკანასკნელ წლებში იქ გამოიჩინეს წინედ არა არსებული იმპერიალისტური სული. გარდა ამისა საფრანგეთი რუსეთს აძლევს ფულს და რუსეთზე ამყარებს სარევანშო იმედებს. რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებათა შესახებ ბასერმანმა განაცხადა: შეწყდა რეიხს-კანცლერის მეგობრული დუდუკის ხმა, რომელიც ისმოდა პოტსდამის შეხვედრის შემდეგ. ჩვენ გვესმის, რომ საფრანგეთში აღებულ სესხის უმეტესი ნაწილი ხმარდება გერმანიის საზღვარზე მდებარე სამხედრო გზების შეკეთებას. კონსტანტინოპოლში გერმანიის სამხედრო მისიამ რუსეთის წინააღმდეგობა გამოიწვია, რაც ჰმოწმობს, რომ საქვეყნო პოლიტიკური მდგომარეობის გართულება არ შესუსტებულა. რუსეთის პოლიტიკამ აიღო ლა გეზიხია—უკან დაიხია. გერმანიას განზრახვა არა აქვს, უარი სთქვას საზღვაო დიდ სახელმწიფოს მდგომარეობაზე. თუ მოწინააღმდეგე სახელმწიფოები ეცდებიან შეიტანონ ჩვენს უფლებაზე, ეს იქნება მოასწავებელი ომის მოახლოვებისა.

**ბუქარესტი.** მადიარო-რუმინელებს შორის მოლაპარაკების შეწყვეტის გამო, პრესა სოლიდარობას უცხადებს კარპატის გადაღმა მოძმეებს. ხალხი ამ ამბავს სიამოვნებით ეგებება.

**ბელგრადი.** სკუპშჩინაში პაშიჩმა პასუხი გასცა მთელ ოპოზიციის შეკითხვაზე ალბანეთის უკანასკნელ აჯანყების გამო. მან სთქვა, რომ საზღვრებს 100 კილომეტრის სიგრძეზე იცავდა სამი ქვეითი ჯარი. მთავრობამ ყოველი ღონისძიება მიიღო საზღვრების დასაცავად და ალბანელების დასამშვიდებლად. ავსტრიის ულტიმატუმისა და სახელმწიფოების რჩევის გამო სერბიელები იძულებულნი გახდნენ გაეყვანათ ჯარი, მათ მიერ ალბანეთში დაჭერილ სტრატეგიულ პუნქტებიდან. კაბინეთმა სახელმწიფოებს სთხოვა, შეესწორებინა სერბია-ალბანეთის საზღვრები, მაგრამ ეჭვი აქვთ მათ, რომ ეს თხოვნა შესრულებული იქნება. ოპოზიცია უკმაყოფილო დარჩა პაშიჩის განმარტებით და ბრალსა სდებს მთავრობას უსარგებლო სისხლის ღვრისა დ 30 მილიონის დახარჯვის გამო. უმრავლესობამ მინისტრების პასუხი მხედველობაში მიიღო.

**სოფია.** მოხდა მიტინგი აქ მცხოვრებ ალბანელებისა; გამოიტანეს რეზოლიუცია, სახელმწიფოებს მიჰმართონ, რათა იგინი საქმეში ჩაერიონ, შეაჩერონ სერბებსა და ბერძნების მხრივ ალბანელ მცხოვრებთა დევნა და ალბანეთის ტერიტორიის განთავისუფლება დააჩქარონ.

**მალტა.** ბრიტანიის კრეისერი „გლოსტერი" შაბათს ტრიესტისაკენ წავა და გააცილებს პრინც ვიდს დურაცოში.

**ფრანკფურტი მაინისა.** ცნობილ სოციალისტ ქალს ლიუქსემბურგს მცხოვრებლებში კანონების დაუმორჩილებლობის აგიტაციისათვის ერთი წლის ციხე მიუსაჯეს. მან ორს კრებაზე განაცხადა: „სცდებიან, თუ ჰფიქრობენ, რომ ჩვენ აღვიღებთ ხელთ სასიკვდილო იარაღს ჩვენის ძმების ფრანგების ან სხვათა წინააღმდეგ, ამას ჩვენ არას დროს არ ჩავიდენთო".

**ინსბრუკი.** ტიროლის სეიმი დაიხურა პროგრესისტ იტალიელების ობსტრუქციის გამო.

**რომი.** იუსტიციის მინისტრმა თანხმობა განაცხადა დააკმაყოფილოს გაფიცული ნაფიც-ვექილთა მოთხოვნილებანი.

**ტოკიო.** იოკოსუკაში, მოძისში და კობეს გერმანია-აზიის ბანკში კვლავ შეიპყრეს რამდენიმე პირი. ამ შეპყრობას კავშირი აქვს საზღვაო უწყებაში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებებთან. ოპოზიციამ გადასწყვიტა ქვედა პალატაში შეიტანოს იმპერატორის მისართმევი ადრესის გეგმა, სადაც კაბინეტს ბრალს დასდებს.

**რუსეთი.**

**ეკატერინოდარი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა შევჩენკოს იუბილეის აღსანიშნავად დაარსოს სტიპენდიები დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში და კიევის უნივერსიტეტში.

**რიგა.** ბეკერის ქარხანაში მუშებმა მუშაობა განაახლეს. არა მუშაობენ მხოლოდ ერთი სახელოსნოს მუშები, რიცხვით 70 კაცი. ამ მუშებს ხვალე დაითხოვენ.

**პეტერბურგი.** რუსეთის სატახტო გაზეთებში ხმები გავრცელდა, ვითომც საზღვაო მინისტრი გადადგომას აპირებს. ეს ცნობა სიმართლეს არის მოკლებული.

## წკიპურტები

ქუთაისიდან „სინათლის ხმა" გვთხოვს გამოვაცხადოთ: „ჩვენს პატივცემულ გაზეთში („სინათლის ხმა", № 31), მესამე გვერდის მეორე სვეტში, სააგენტოს დეპეშებში შეცდომით გამოტოვებულია დეპეშა ქალაქ უფიდან: „დააპატიმრეს მესამე სათათბიროს წევრად ნამყოფი, სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ექიმი პოკროვსკი. მას ავადმყოფ ქალის გაუპატიურების განზრახვა ბრალდება".

## თეატრი და ხელოვნება

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.** 25 თებერვალს, გაიმართება ნიჭიერ რეჟისორის ა. წუწუნავას ბენეფისი. საბენეფისოდ ა. წუწუნავას აურჩევია „პირმზე" დ „ელექტრა" ჰოფმან-სტალისა.

## შემოწირულება

ავადმყოფ მგოსან იროდ. ევდოშვილის სასარგებლოდ მიხეილ კავსაძეს შეუწირავს 6 მანეთი; ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სასწავლებლის მოწაფეებს მგოსნისათვის გაუგზავნიათ ამხანაგებში შეგროვილი ფული. როგორც პირველი, ისე მეორე შეწირულება პირდაპირ მგოსნისათვის გაუგზავნიათ.

## ჩვენი ფოსტა

სად. [illegible] წელები. გ-ნ ი. დ. გიგინეიშვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. პირადად მიჰმართეთ, ალბად, რაიმე გაუგებრობა თუა.

## დღეს

**ქართული თეატრი.** „სინათლე".

**ზუბალაშვილის სახლი.** ბობოლა.—მათიკო.

**სახაზინო თეატრი.** ოპერა: იოლანტა. ალეკო. რომეო.

**არტისტ. საზ. თეატრი.** რუსული დრამა.

**არტისტ. საზ. დარბაზი.** პირველი ისტორ. კონცერტი გალსტონისა: ბახი.

**საზოგადო კლუბი.** რეფერატი დოლუხანოვისა ბეჭდვითი სიტყვის ახალი კანონის შესახებ.

**სამუსიკო სკოლა.** ლექცია პალმოვისა ვ. გარშინის შესახებ.

**კავკასიის საექიმო საზოგადოება.** ქ. გონიაშვილისა დილის 11—12 ს. წაიკითხავს ქართულად ბავშვებისათვის „ჯანმრთელობის ხესა".

**ზუბ. სახ. სახლი.** სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების კრება. დასაწ. დილის 9 ს.

**ორშაბათს, 10 თებერვალს**

**ქართული თეატრი.** ქართული კულტურის მოყვარეთა საზოგადოების საღამო.

**სახაზინო თეატრი.** ოპერა: „ზაზა".

**არტისტ. საზ. თეატრი.** სომხური წარმოდგენა: სალომე ულიდისა და სხ.

**არტისტ. საზ. დარბაზი.** მეორე ისტორ. კონცერტი გალსტონისა: ბეტჰოვენი.

**ზუბალ. სახლი.** უკრაინული წარმოდგენა.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.




კოლოფი 30 კაპ.
იყიდება ყველგან.
1021
Метцль. 547928.


## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით)

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პოჩტ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, სწრაფი საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, სწრ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პოჩტ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** სწრ. № 4/3, ნაშუადღ. 12 ს. წ.

**ყარსისკენ:** სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევნისკენ:** № 24/23, საბარგ.-სამგზ. [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, სწრ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. ნაშუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, სწრ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. ფომინა-ოსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქურ. ლ. ქავთარაძისა (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 ო. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვისკი, 10. ტელ. 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათაძე (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 გ. ზ. მარჯანოვი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და ამ მხრივ უწესობას ჰქონდეთ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. (ცუდს საჭმელ-სასმელს აყიდებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგანგებო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგურს ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


## საპურადლოზე

მშვენიერ ადგილას ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ თელავის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თამამშევს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეეთანხმონ დარჩენილ გზებს, თანახმად ჩვენგან მიცემულ გეგმისა. წ. 132

**ექიმი** ქალისა **ნინო რცხილაძე.** გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ს. ა. გრიაზნოვი**
სხვა მასწავლებლებთან ერთად
**ამზადებს**
გიმნაზიის, რეალურ დ კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 48

**სამშობიარო თავშესაფარი ი. უხარულისა**
გადმოვიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ექიმი**
**მ. ტ. მულინი**
სნეულებანი: ყელისა, ცხვირისა და ყურისა. იგი ავადმყოფებს სამკურნალოში აღარ იღებს, იღებს მხოლოდ საკუთარ ბინაზე: ვერის დაღმართი № 3. 52.

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
**დილით:**
**„606" და „914"**
**11—12 ს. შეშხაპუნება**
**კონსულტატიურად.**
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასხაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბავშო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. აველტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბავშო და ქალების ავადმყ.
**საღამოთი:**
მ. გ. აველტიხიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**
**ჩვენი კაზმული მწერლობა.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი | 1 მ. კ. | ნინოშვილი. მოსე მწერალი, | 10 „ |
| „ ახუნდი, პოემა, | 5 „ | „ არშიყი, | 5 „ |
| „ ბახტრიონი, | 20 „ | „ სიმონა, | 20 „ |
| „ ამოდის ნათდება, | 15 „ | „ პოლიასტომის ტბა, | 5 „ |
| „ სამი საყმაწვ. ამბავი, | 15 „ | „ განკარგულება, | 5 „ |
| კარიჭაშვ. სამი მსხვერპლ., მოთხ. | 30 „ | „ გოგია უიშვილი, | 5 „ |
| კლდიაშვილი. საყმაწ. მოთხრ. | 30 „ | ორბელიანი გრ. ლექსები, | 20 „ |
| „ თხზულებანი I. | 75 „ | ორბელიანი ვახტ. ლექსები, | 60 „ |
| „ „ II. | 75 „ | ორბელიანი ნინო. „ | 30 „ |
| მზის სიცილი, აბაშელი. | 50 „ | **ახლად გამოსული წიგნები:** | |
| მგალობლიშვ. თ-დი იორენიძე, | 10 „ | ა. ფრონელი. მთის არწ. შამილი, | 25 „ |
| „ მთიული სოსე, | 10 „ | გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. კალენჯერიძე, | 1 მ. |
| ლომოური. ყოვლის მხრიდან, | 10 „ | Долина Свѣти Груз. преданіе, | 1 м. |
| „ ბერუა ქრისტესიაშვ., | 10 „ | აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი, | 10 „ |
| „ ალი, | 10 „ | საქ. ცხოვრ. ზ. ჭიჭინაძისა, | 1 მ. |
| „ ქაჯანა, | 7 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

**სავაჭრო სახლი**
**ე. ა. ცატუროვი და ამხ.**
ტფილისი, სასახლის ქუჩ. ტელ. 238, ფირმა არსებობს 1869 წლიდან.
მივიღეთ დიდძალი რჩეული
**გრეხილი ავეჯეულობა**
მხოლოდ **ტონეტის** ქარხნისა
აგრეთვე
**შპალიერი**
**ელექტრონის არმატურა.**
1043

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი და
**საბუღალტრო კურსები**
ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა
გადავიდა ახალსა და უფრო ფართო შესაფერ ბინაზე,
მიხეილის ქუჩა, სახლი ჭავჭავაძისა № 36.
კურსებზე პირველ ჯგუფთან მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან, მეორე ჯგუფთან—საღამოს 7 საათიდან. გამოცემული სახელმძღვანელოები მიწერ-მოწერით ბუღალტერიის შესასწავლად. 83

**12 ქართული წიგნი** | ახალი გამოცემა |
ერთ მანეთად, გაგზავნით.
მისამართი: Тифлисъ, Тумановскій пер., 24, Ив. П. Гостомашвили.
73

თევზის მრეწველნი
**ძმ.**
**ძევეროვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

**განყოფილება**
**ავლაბარში**
ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.
**იყიდება**
იმავე ხარისხის
**საქონელი,**
როგორც პუშკინის ქუჩაზე.